საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 153 (173) სამშაბათი, 6 აგვისტო, 1991 წელი ფასი 10 კაპიკი

მიმართვა სამაჩაბლოს მოსახლეობისადმი

თანამემამულენო!

საქართველოს ყველა ღრმა და მწარე ჭრილობა შიდა ქართლშია გახსნილი. მართალია აღსდგა ისტორიული კანონზომიერება, გავაუქმეთ ძალადობით შეკოწიწებული ოლქი, ცხინვალის რაიონი გორს დავუბრუნეთ, ყორნისის რაიონი — ქარელს, მაგრამ აღნიშნულ რეგიონში პრობლემები ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს, რომელიც სასწრაფოდ მოითხოვს ჩვენს მობილიზებას და არა მხოლოდ მორალურ თანადგომას.

ჩვენი დაულხინებელი ყოფა სტიქიამ კიდევ უფრო დაამძიმა. ოცდაცხრა აპრილის მიწისძვრამ, იმერეთზე და რაჭაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, შიდა ქართლში ასეულობით ბინა დაანგრია და დააზიანა, ხოლო თხუთმეტი ივნისის ნგრევამ — ათასობით მეტი დააქცია.

არც ოთხ ივლისს დაგვინდო სტიქიამ, კიდევ ერთხელ მოგვივლინა განსაცდელი, წინა მიწისძვრებს გადარჩენილი საბოლოოდ გაანადგურა.

რაც ყველაზე სავალალოა, დაიღუპნენ ადამიანები.

სვერი, ქემერტი, ძარწემი, კეხვი, ქურთა, ზეითი, ქვემო აჩაბეთი, ჭარები, ქსუისი, დისევი, აწრისხევი, ბელოთი, საცხენეთი, ჭოჭიანთ უბანი, ვანათი... აი, არასრული სია იმ სოფლებისა, რომელთა ნაწილი მიწასთან არის გასწორებული...

მე ციფრსაც მოგახსენებთ, მარტო გორსა და გორის რაიონში, რა თქმა უნდა, იგულისხმება შემოერთებული ცხინვალის რაიონიც, 4600-ზე მეტი სახლი თავიდანაა ასაშენებელი და შესაკეთებელი.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხე-კუნჭული შველას მოითხოვს. მეგობრებო, არ შეიძლება საჩხერელი და კახელი კაცის სატკივარი სხვადასხვაგვარად გვაწუხებდეს, მაგრამ შიდა ქართლის გასაჭირი მაინც სხვაა და ამის მიზეზი ყველამ კარგად ვიცით.

აქაურობას ჩვენ ვაცხადებთ აღმშენებლობითი პროგრამის ნომერ პირველ ობიექტად. მართალია, ყურადღებას არ ვაკლებთ სტიქიით დაზარალებულ სოფლებს, განსაკუთრებით სამაჩაბლოს ღია ცის ქვეშ დარჩენილ მოსახლეობას, პროგრამის განსახორციელებლად ვეებერთელა სამშენებლო კომპლექსია დასაქმებული, მაგრამ ეს არ კმარა, საჭიროა რესპუბლიკის ქალაქებმა და რაიონებმა, ცალკეულმა ორგანიზაციებმა გამონახონ საშუალება და ამოუდგნენ მშენებლებს მხარში.

მეგობრებო, ქუდზე კაცის დრო დაგვიდგა, დაზამთრებამდე ყველანაირად უნდა შევეცადოთ, რომ არც ერთი ოჯახი ღია ცის ქვეშ არ დაგვრჩეს, ახლა გულგრილობა, მხოლოდ სიტყვით ქადილი და გულხელდაკრეფა ღალატის ტოლფასია.

ჩვენ პირნათელნი უნდა ვიყოთ გაუთავებელი ომით, წყალდიდობით, მიწისძვრებით შეწუხებული ქართველობის წინაშე, ვინც ამდენი თავსდამტყდარი უბედურების მიუხედავად, მაინც არ მიატოვა მამა-პაპური კერა.

ისინი გმირები არიან, მეგობრებო, გმირობას კი დანახვა და დაფასება უნდა, რასაც, ალბათ, ჩვენი საერთო ძალისხმევით გავაკეთებთ კიდეც.

არის კიდევ ერთი საკითხი, რომელიც თანდათან, მტკივნეულ პრობლემად იქცა: გორში, თბილისში, სხვა ქალაქებსა და რაიონებში თავმოყრილია ლტოლვილების დიდი ჯგუფები.

რა თქმა უნდა, ისინი თავისი ნებით არ აყრილან, დაარბიეს, სახლები დაუწვეს, შეურაცხყვეს, გამოაქციეს... მათთვის არავის არაფერი დაუყვედრებია. მთელი საქართველო მათი სამშობლოა, მაგრამ მაინც მძიმეა დიდხანს სხვის კარზე მყოფი ადამიანის ხვედრი... მე არ მინდა ამ ხვედრს შეეჩვიოს ქართველი კაცი, თორემ ჩვენი შრომა წყალში ჩაიყრება.

ამიტომ, ვფიქრობ, ლტოლვილებად მხოლოდ ქალაქ ცხინვალისა და სოფელ გუჯაბაურის მოსახლეობა უნდა მივიჩნიოთ, ისიც მხოლოდ ქალები და ბავშვები, დანარჩენები კი დროა დაუბრუნდნენ თავ-თავის სოფლებს.

თანამემამულენო, სამაჩაბლოს ქართული სოფლებიდან ლტოლვილებო, მიხედეთ თქვენ ფუძეს, თორემ, როგორც არაერთხელ მომხდარა, ისევ მოვა გადამთიელი და ჩვენ კუთვნილს დაეპატრონება.

ღმერთმა ხომ იცის, აღარაფერი დაგვრჩა დასაკარგავ-გასაცემი, ამიტომ, სამაჩაბლოში დაბრუნებული თითოეული ოჯახი საქართველოსათვის მტკიცე ციხე-სიმაგრის ტოლფასია.

ცხინვალელო მამაკაცებო: დაბეჯითებით გთხოვთ, მონაწილეობა მიიღოთ ქართული სოფლების აღდგენა-აღორძინებაში, მამა-პაპეული მიწა-წყლის დაცვაში. ხოლო ის, ვინც ამას არ გააკეთებს, მოღალატედ შეირაცხება.

ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს ბედი დღეს შიდა ქართლში წყდება.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ზვიად გამსახურდია.

შეხვედრა უშიშროების დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან

5 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია შეხვდა საქართველოს ეროვნული უშიშროების დეპარტამენტის ხელმძღვანელებს.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს ეროვნული უშიშროების დეპარტამენტის საკავშირო დაქვემდებარებიდან საბოლოო გამოყოფისა და ამ შეუქცევად პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები, აგრეთვე დეპარტამენტის შემდგომი საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებანი. აღინიშნა, რომ დღეს ეროვნული უშიშროების დეპარტამენტი პოლიტიკური პოლიცია აღარ არის, მაგრამ მან დიდი როლი უნდა შეასრულოს საქართველოს წინააღმდეგ იმპერიული ძალების მტრული აქციების გამოვლენასა და მხილებაში.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დეპარტამენტის როლს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, უწინარესად — ნარკობიზნესის გამოვლენა-აღკვეთაში.

დეპარტამენტის წინაშე დაისვა საკითხები, რომელთა გადაწყვეტა ხელს შეუწყობს რესპუბლიკაში მართლწესრიგის დამყარებას, ეკონომიკურ და სოციალურ დანაშაულთა აღმოფხვრას.

საქინფორმი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის
ბრძანებულება
ი. ი. მაზანაშვილის თელავის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს იროდი იოსების ძე მაზანაშვილი თელავის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 2 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
დადგენილება
არკადი მარკოზიას სადეპუტატო უფლება-მოსილების ცნობის შესახებ

ცნობილ იქნეს 1991 წლის 21 ივლისს № 96 მარტვილის საარჩევნო ოლქში არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატის არკადი მარკოზიას უფლებამოსილება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
აკაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 2 აგვისტო.

ცხარე კამათი პარლამენტში

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის სხდომა

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 2 აგვისტოს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა. ჩვენმა იმავე დღის მოკლე ექსპრესინფორმაციამ, ცხადია, ვერ ასახა ამ სხდომის ყველა პერიპეტია, ის ვნებათაღელვა და დრამატიზმი, რომლის ელემენტს მისი წესრიგივე შეიცავდა.

ყველაფერი კი დაიწყო განცხადებით, რომელიც სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების სახელით გააკეთა მისმა თავმჯდომარემ, დეპუტატმა ვაჟა ადამიამ. ამ განცხადებაში მტკიცე პროტესტი გამოითქვა იმის გამო, რომ არ განხორციელებულა სესიის წინა სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება, შექმნილიყო საპარლამენტო კომისია ჭეშმარიტების დასადგენად მარნეულის რაიონის პრეფექტის საქმიანობის თაობაზე გაზეთ „თავისუფალ საქართველოში" დაბეჭდილ კორესპონდენციასთან დაკავშირებით. ეს ბრალად დასდეს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, რომელმაც, განცხადების ავტორთა აზრით, ამ შემთხვევაში თანამიმდევრულობა ვერ გამოიჩინა, უმოქმედობდა. ბატონმა ვაჟა ადამიამ ბრალად დასდო ბატონ აკაკი ასათიანს ისიც, რომ იგი უსიტყვოდ უჭერს მხარს და ახორციელებს რესპუბლიკის პრეზიდენტის გეზს. „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" ბლოკს, რომელიც პარლამენტში დიდ უმრავლესობას შეადგენს, სტატისტის როლს აკუთვნებს: ყოველივე ამის გამო განცხადებაში დაისვა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის გადადგომის საკითხი.

ბატონმა აკაკი ასათიანმა, რომელმაც დასაბუთებულად უარყო წაყენებული ყველა ბრალდება, აღნიშნა, რომ მზად არის გადადგეს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან, თუ ამ აზრს იზიარებს მთელი უზენაესი საბჭო. ამავე დროს მან წამოაყენა წინადადება ფარულად ეყარათ კენჭი ამ წინადადებისთვის.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, რომელმაც განაცხადა, რომ კენჭისყრის მომხრე არ არის. მან კერძოდ განმარტა, რომ არავითარი კავშირი არა აქვს გაზეთ „თავისუფალ საქართველოში" დაბეჭდილ პუბლიკაციას მარნეულის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან არჩილ მაჭავარიანის განთავისუფლებასთან. ამის მიზეზი სულ სხვა რამ არის. პრეფექტი სუსტად ერკვეოდა სოფლის მეურნეობის საკითხებში, რომლებიც ესოდენ სპეციფიკურია ამ აგრარული რაიონისთვის. ბატონი ზვიად გამსახურდია არ დაეთანხმა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის გაკრიტიკებას, და თავის მხრივ პრეტენზიები გამოთქვა უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიებისა და მათი თავმჯდომარეების საქმიანობისადმი, რომლებიც არ არიან საკმარისად აქტიურნი, ინერტულობას იჩენენ მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციაში, მათი წერილებისა და განცხადებების გარჩევაში.

ამრიგად, მხოლოდ 45 წუთის შემდეგ, რომელიც მოანდომეს ამ განცხადების გარჩევას, დეპუტატები შეუდგნენ თვით დღის წესრიგის განხილვას. უზენაესმა საბჭომ განიხილა და მიიღო საქართველოს რესპუბლიკის კანონთა პაკეტი ეროვნული ბანკის, ფულად-საკრედიტო რეგულირების, ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ, რომელიც წარმოადგინა მისი საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ტარიელ გელანტიამ. კანონების მიღებას დიდი კამათი არ მოჰყოლია. ერთსულოვნად მიიღეს დადგენილებაც ამ კანონების სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ.

თითქმის საათ-ნახევარი დასჭირდა დღის წესრიგის შემდეგი საკითხის — ბეჭდვითი სიტყვისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტს, რომელიც ჯერ კიდევ რამდენიმე ხნის წინათ მიიღეს პირველი მოსმენით. იგი წარმოადგინა უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ თეიმურაზ ქორიძემ, რომელმაც დეპუტატთა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ კანონპროექტში შეტანილია ცვლილებები და დამატებანი, თვით რესპუბლიკის ფართო საზოგადოებრიობის აზრს რომ გამოხატავს. უნდა აღინიშნოს, რომ იგი ამჯერადაც არ მიუღიათ საბოლოოდ, თუმცა მისი ავტორები ცდილობდნენ ამას. უდიდესმა მომთხოვნელობამ და პასუხისმგებლობამ, რომელიც დეპუტატებმა გამოიჩინეს ამ კანონპროექტის განხილვის დროს, გადაწყვიტა კიდეც მისი ბედი. იგი მიიღეს მეორე მოსმენით.

მოულოდნელად მშვიდად ჩაიარა ისეთი მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტების პროექტების განხილვამ, როგორიც არის საქართველოს რესპუბლიკის კანონები მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებებისა და რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ. პირველი გამოიტანა სესიაზე უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის წევრმა თენგიზ ჩაჩავამ, მეორე — უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ გივი თაქთაქიშვილმა. ეს ორივე კანონი მხოლოდ პირველი მოსმენით მიიღეს.

შედარებითი სიმშვიდე, რომელიც სუფევდა სხდომებზე ამ კანონპროექტების განხილვის დროს, დიდხანს არ გაგრძელებულა. უკვე შემდეგი საკითხის განხილვისას კვლავ აბობოქრდა ვნებები. და ეს ბუნებრივიცაა. რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრმა ჯონი ხეცურიანმა პარლამენტარებს წარუდგინა კანონის პროექტი, რომელიც ეხებოდა რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანას. აქ ცხარე კამათი გაიმართა როგორც კოდექსის ცალკეული მუხლების დასახელების განსაზღვრისთვის, ისე ამ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტის თითოეული კონკრეტული დებულებისთვის. მის მიმართ წაყენებული ძირითადი პრეტენზიები ის იყო, რომ შემოთავაზებული ცვლილებები დიდად არ განსხვავდებოდა ადრე მოქმედი კოდექსის პრინციპებისგან. მიუხედავად ამისა დეპუტატების მიერ შეტანილი ზოგიერთი შესწორების შემდეგ ეს კანონი ხმათა დიდი უმრავლესობით მიიღეს. უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება მისი სამოქმედოდ შემოღების შესახებაც.

შემდეგ პარლამენტარებმა მცირე ხნით გადაუხვიეს დღის წესრიგს, რათა გამოეთქვათ თავიანთი დამოკიდებულება აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ვლადისლავ არძინბას მიერ სოხუმიდან გამოგზავნილი დეპეშისადმი, რომელშიც უგულებელყოფილია საქართველოს რესპუბლიკის ფინანსურ-ეკონომიკური ინტერესები. ამ დეპეშით გამოწვეული რეაქცია ის იყო, რომ უზენაესმა საბჭომ შეაჩერა ამ ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური ბანკისა და საბანკო ურთიერთობის შესახებ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დადგენილების მოქმედება, რის შემდეგ წინადადებით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს მხარი დაეჭირა ამ გადაწყვეტილებისთვის.

განაგრძო რა დღის წესრიგის შემდეგი საკითხების განხილვა, უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება ჯავის რაიონსა და ცხინვალში სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების შესახებ, კანონი „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ" კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, აგრეთვე დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების მოწყობის ვადების გადატანის შესახებ და სხვა დოკუმენტები. კერძოდ, მხარი დაუჭირეს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს იურისდიქციას გადაეცეს ამიერკავკასიის სტრატეგიული მატერიალური რეზერვების ტერიტორიულ მმართველობას დაქვემდებარებული ობიექტები.

ჩვეულებისამებრ, სხდომის დამთავრების წინ განყოფილებაში „სხვადასხვა", დეპუტატებმა წამოჭრეს მთელი რიგი საჭირბოროტო საკითხები, რომლებიც ეხება რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებას.

საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტები
ბაატა ცინცაძე და ედუარდ ედიბერიძე.

აჭარის უზენაესი საბჭოს სესია

გაიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა.

მისი დაწყების წინ დეპუტატებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს აჭარის უზენაესი საბჭოს გარდაცვლილი დეპუტატის ანზორ ცეცხლაძისა და ქალაქ ბათუმის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლის რომან კახრაძის ხსოვნას.

მას შემდეგ, რაც დეპუტატებმა მიიღეს ბლოკ „აჭარის" წინადადებანი — დღის წესრიგს დაემატოს საკითხები „საპარლამენტო ფრაქციის ჩამოყალიბება" და „სხვადასხვა", სესიამ დაამტკიცა დღის წესრიგი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეთა არჩევა.

კომისიების თავმჯდომარეებად არჩეული არიან საკანონმდებლო და კანონიერების დაცვისა — დეპუტატი ბადრი ნაკაშიძე, ეკონომიკური რეფორმის და საფინანსო-საბიუჯეტოსი — დეპუტატი თენგიზ ასანიძე, ჰუმანიტარული და სოციალური საკითხებისა — დეპუტატი ლეონიდე ქლენტი, მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობისა — დეპუტატი თენგიზ ხახვა, სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობის და ეკოლოგიისა — დეპუტატი ბადრი მელაძე.

კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის თავმჯდომარის პოსტზე დაასახელეს კანდიდატურები ბლოკების „აჭარისა" და „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" აჭარის რეგიონალური ორგანიზაციისაგან. სესიამ უპირატესობა მიანიჭა ამ უკანასკნელს და კომისიის თავმჯდომარედ აირჩია დეპუტატი ცისანა ანთაძე.

მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებად ზოგიერთი კანდიდატურის არჩევის წინ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატებმა ბლოკ „აჭარისგან" თავდაპირველად უარი განაცხადეს მონაწილეობა მიიღონ კენჭისყრაში, შემდეგ კი დატოვეს სხდომათა დარბაზი.

მიღებულია დადგენილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიათა თავმჯდომარეების არჩევის შესახებ.

მუდმივი კომისიის თავმჯდომარეებს წინადადება მიეცათ სესიის მორიგი სხდომისთვის წარმოადგინონ წინადადებანი კომისიათა და ქვეკომისიათა პერსონალური შემადგენლობის შესახებ.

სესიაზე გამოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე.

თამაზ ბენძენაძე,
საქინფორმის კორ.

პროექტი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის ეთიკის ძირითადი წესები

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის ეთიკის ძირითადი წესები განსაზღვრავს დეპუტატის ეთიკის ნორმებს, როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის ქცევის ეთიკურ-მორალური კრიტერიუმები უნდა იყოს კაცობრიობისა და საქართველოს მრავალსაუკუნოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ისტორიის გამოცდილებით გამომუშავებული სიკეთის, ზნეობის, ჰუმანურობის, სამართლიანობის, გულმოწყალებისა და მიმტევებლობის იდეალები.

მუხლი 2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი არა მარტო თავისი ამომრჩევლების, პარტიისა თუ პოლიტიკური ბლოკის, არამედ სრულიად საქართველოს სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესების სრულუფლებიანი წარმომადგენელია. თავის საქმიანობაში იგი უნდა იცავდეს საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს, ადამიანის უფლებებს, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს რეგლამენტს, აგრეთვე დეპუტატის ეთიკის ამ ძირითად წესებს.

მუხლი 3. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი თანაბრად უნდა იცავდეს საკუთარ და უზენაესი საბჭოს სხვა წევრთა, პარტიისა თუ პოლიტიკური ბლოკის, აგრეთვე იმ თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა ღირსებას, რომლებთანაც დეპუტატის მოვალეობის შესრულებისას ურთიერთობას დაამყარებს.

მუხლი 4. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი თავს უნდა იკავებდეს ისეთი ქმედების, განცხადებისა და ქცევისაგან, რომლებსაც შეუძლიათ პატივი და ღირსება შეულახონ თვად მას, მის ამომრჩევლებს, პარტიასა თუ პოლიტიკურ ბლოკს, რომელსაც იგი წარმოადგენს და უზენაეს საბჭოს, რომლის წევრადაც არის არჩეული.

მუხლი 5. თუ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი დეპუტატის ეთიკის ძირითად წესებს დაარღვევს, სამანდატო და დეპუტატის ეთიკის საკითხთა მუდმივმა კომისიამ მის მიმართ შეიძლება გამოიყენოს ზემოქმედების სათანადო ღონისძიებები, რომლებიც დაფიქსირებულია დეპუტატის ეთიკის ამ ძირითად წესებში.

თავი I

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის ეთიკის ძირითადი წესები საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიების სხდომებზე და მის მუდმივ კომისიებში

მუხლი 6. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი ვალდებულია (საპატიო მიზეზის გარდა) დაესწროს უზენაესი საბჭოს სესიისა და იმ მუდმივი კომისიის ყველა სხდომას, რომლის წევრადაც არის არჩეული.

მუხლი 7. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრს უფლება არა აქვს კენჭისყრაში მონაწილეობა თავის ნაცვლად უზენაესი საბჭოს სხვა წევრს დაავალოს.

მუხლი 8. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრებმა უზენაესი საბჭოს სესიებისა და კომისიების სხდომებზე, ერთმანეთთან და სტუმრად მოწვეულ პირებთან ურთიერთობაში, აგრეთვე მესამე პირში მათი ხსენებისას უნდა გამოიყენონ მიმართვის ოფიციალური ფორმა.

მუხლი 9. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი უზენაესი საბჭოს სესიებისა და კომისიების სხდომებზე გამოსვლისას არ უნდა ხმარობდეს უხეშ და არაკორექტულ გამოთქმებს, არ უნდა მოუწოდებდეს უკანონობისა და ძალადობისაკენ, არ უნდა დაუშვას სხვა დეპუტატისა თუ პირის შეურაცხყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში თავმჯდომარე უზენაესი საბჭოს წევრს აფრთხილებს, რომ მისი საქციელი არაეთიკური, უხეში და დაუშვებელია.

მეორე გაფრთხილების შემდეგ უზენაესი საბჭოს წევრს შეიძლება სიტყვა ჩამოერთვას. ამასთან, თავმჯდომარეს უფლება აქვს მიკროფონი გამორთოს, აღნიშნულ პირს განსახილველ საკითხზე სიტყვა ხელახლა არ მიეცემა. თუ უზენაესი საბჭოს წევრი მიკროფონით სარგებლობს თავმჯდომარის ნებართვის გარეშე, მიკროფონი შეიძლება გამოირთოს გაუფრთხილებლად.

თუ უზენაესი საბჭოს წევრი გადაუხვევს განსახილველ საკითხს, თავმჯდომარე მას მოუწოდებს დაუბრუნდეს განსახილველ საკითხს.

თუ უზენაესი საბჭოს წევრი გადააჭარბებს გამოსვლისათვის განსაზღვრულ დროს, თავმჯდომარე ერთხელ გაფრთხილების შემდეგ მას სიტყვას ჩამოართმევს.

ამ მუხლში ჩამოთვლილი წესების დარღვევის შემთხვევაში სამანდატო და დეპუტატის ეთიკის საკითხთა მუდმივმა კომისიამ საკითხი დაშვებული დარღვევების თაობაზე შეიძლება გაიტანოს კომისიაზე განსახილველად.

მუხლი 10. თუ უზენაესი საბჭოს წევრს ბრალად ედება ეთიკის ძირითადი წესების დარღვევა, მას უფლება აქვს მოითხოვოს სამანდატო და დეპუტატის ეთიკის საკითხთა მუდმივ კომისიაში მისი საქმის განხილვა და წაყენებული ბრალდებების შეფასება, კომისია კი ვალდებულია უზენაესი საბჭოს წევრის თხოვნა დააკმაყოფილოს.

უზენაესი საბჭოს წევრს, რომელიც შეურაცხყოფად მიიღებს უზენაესი საბჭოს სხვა წევრის სიტყვებს ან მოქმედებას, უფლება აქვს მოითხოვოს, რომ შეურაცხყოფის მიმყენებელმა პირმა საჯაროდ მოუხადოს ბოდიში. უარის შემთხვევაში უზენაესი საბჭოს წევრს უფლება აქვს საქმე გადასცეს სამანდატო და დეპუტატის ეთიკის საკითხთა მუდმივ კომისიას, ეს უკანასკნელი კი ვალდებულია საქმე განსახილველად მიიღოს.

მუხლი 11. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი ვალდებულია უზენაესი საბჭოს და მისი შესაბამისი კომისიების მიერ მიცემული დავალებები კეთილსინდისიერად შეასრულოს.

საპატიო მიზეზის გარეშე დავალებების შეუსრულებლობის შემთხვევაში უზენაესი საბჭოს წევრის მიმართ გატარდება ზემოქმედების სათანადო ღონისძიებები.

თუ უზენაესი საბჭოს წევრს დაასახელებენ რაიმე არჩევით თანამდებობაზე და იგი აიღებს თვითაცილებას, უზენაესი საბჭოს სხვა წევრებს უფლება არა აქვთ იგი კენჭისყრით აიძულონ, დაიკავოს ეს თანამდებობა.

მუხლი 12. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში და მის მუდმივ კომისიებში არჩევით თანამდებობაზე მომუშავე უზენაესი საბჭოს წევრს უფლება აქვს გადადგეს დაკავებული თანამდებობიდან, ამასთან, მან გადადგომის მიზეზები საფუძვლიანად უნდა დაასაბუთოს.

თავი II

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის ეთიკის წესები სახელმწიფო ორგანოებთან, თანამდებობის პირებთან, საზოგადოებასთან და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობაში

მუხლი 13. უზენაესი საბჭოს წევრი თავის სტატუსს სახელმწიფო ორგანოებთან, თანამდებობის პირებთან, საზოგადოებასთან და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობაში პირადი მიზნებისათვის არ უნდა იყენებდეს.

უზენაესი საბჭოს წევრს უფლება არა აქვს სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირებისაგან მიღებულ ოფიციალურ სამსახურებრივ ინფორმაციას პირადი ანგარების მიზნით იყენებდეს.

მუხლი 14. უზენაესი საბჭოს წევრი თავს უნდა იკავებდეს საზოგადოებრივ დამცველად ან ბრალმდებლად სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობისაგან, სასამართლო საქმეებს საჯაროდ არ უნდა აფასებდეს მათ შესახებ გადაწყვეტილებათა კანონიერ ძალაში შესვლამდე.

მუხლი 15. უზენაესი საბჭოს წევრს, რომელსაც არა აქვს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წარმომადგენლობის სპეციალური უფლებამოსილებანი, შეუძლია ურთიერთობა დაამყაროს საზღვარგარეთის ქვეყნების თანამდებობის პირებთან და სახელმწიფო ორგანოებთან მხოლოდ თავისი სახელით. უზენაესი საბჭოს წევრი ამგვარი ურთიერთობის დამყარებისას ნებისმიერ შემთხვევაში მოვალეა დაიცვას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ინტერესები.

მუხლი 16. უზენაესი საბჭოს წევრი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, პრესკონფერენციებზე, მიტინგებზე თუ სხვა ღონისძიებებზე გამოსვლისას ვალდებულია გამოიყენოს მხოლოდ უტყუარი, შემოწმებული ფაქტები.

საჯარო კრიტიკულ გამოსვლებში განზრახ ან გაუფრთხილებლობის გამო არასწორი, შეუმოწმებელი ფაქტების გამოყენების შემთხვევაში უზენაესი საბჭოს წევრი მოვალეა საჯაროდ აღიაროს თავისი გამონათქვამის არაკორექტულობა და მოუბოდიშოს იმ ორგანიზაციებს, ორგანოებსა თუ პირებს, ვის ინტერესებსა და ღირსებასაც მისი გამოსვლა შეეხო.

თავი III

სამანდატო და დეპუტატის ეთიკის საკითხთა მუდმივი კომისიის საქმიანობა

მუხლი 17. სამანდატო და დეპუტატის ეთიკის საკითხთა მუდმივი კომისია:

— ოფიციალურად განმარტავს უზენაესი საბჭოს წევრის ეთიკის ძირითად წესებს;

— სისტემატურად განაზოგადებს უზენაესი საბჭოს წევრის მიერ უზენაესი საბჭოს წევრის ეთიკის პრინციპების დაცვის საკითხებს, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს ამ საკითხებთან დაკავშირებით წარუდგენს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციებს;

— უწევს კონსულტაციებს უზენაესი საბჭოს წევრებს, მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებს, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს დეპუტატის ეთიკის ძირითადი წესების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

— იხილავს უზენაესი საბჭოს წევრის მიერ ეთიკის ძირითადი წესების, აგრეთვე უზენაესი საბჭოს რეგლამენტის ნორმების დარღვევის შემთხვევებს;

— უზენაესი საბჭოს სესიის მორიგ სხდომაზე გატანამდე წინასწარ იხილავს პროკურორის წარდგინებებს უზენაესი საბჭოს თანხმობის მისაღებად უზენაესი საბჭოს წევრის ხელშეუხებლობის შეზღუდვაზე და შეიმუშავებს სათანადო წინადადებებს;

— იღებს გადაწყვეტილებას ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენების თაობაზე უზენაესი საბჭოს იმ წევრის მიმართ, რომელმაც დაარღვია უზენაესი საბჭოს წევრის ეთიკის ძირითადი წესები, გარდა ამ წესების მე-9 მუხლში ჩამოთვლილი დარღვევებისა, რომლებისთვისაც ზემოქმედების ღონისძიებებს დამოუკიდებლად იყენებს სხდომის თავმჯდომარე;

— თუ უზენაესი საბჭოს მიერ თანამდებობაზე არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული პირი არაეთიკურად მოიქცევა, მის საქციელს სამანდატო და დეპუტატის ეთიკის საკითხთა მუდმივი კომისიის დასკვნის საფუძველზე განიხილავს უზენაესი საბჭო.

მუხლი 18. სამანდატო და დეპუტატის ეთიკის საკითხთა მუდმივი კომისია უზენაესი საბჭოს წევრის ეთიკის ძირითადი წესების დარღვევასთან დაკავშირებულ საკითხებს იხილავს;

— უზენაესი საბჭოს წევრის ან წევრთა ჯგუფის წერილობითი განცხადების საფუძველზე;

— უზენაესი საბჭოს მიერ შექმნილი ორგანოების თანამდებობის პირთა წერილობითი განცხადების საფუძველზე;

— საკუთარი ინიციატივით, თუ გადაწყვეტილება ამის შესახებ მიღებულია კომისიის სხდომაზე, მისი დამსწრე წევრების ხმების უბრალო უმრავლესობით ან კომისიის თავმჯდომარის მიერ.

მუხლი 19. სამანდატო და დეპუტატის ეთიკის საკითხთა მუდმივი კომისიის სხდომა უფლებამოსილია უზენაესი საბჭოს წევრის მიერ უზენაესი საბჭოს წევრის ეთიკის ძირითადი წესების დარღვევის საკითხები განიხილოს, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრების სულ ცოტა ორი მესამედი.

კომისია ატარებს ღია ან დახურულ სხდომებს. სხდომის ფორმის საკითხი წყდება კომისიის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. განმცხადებელს და უზენაესი საბჭოს სხვა დაინტერესებულ წევრებს სხდომაზე წინასწარ იწვევენ. მათ ეძლევათ შესაძლებლობა, დაასაბუთონ განცხადება და დამსწრეთ მისცენ ახსნა-განმარტებები. უზენაესი საბჭოს წევრის შუამდგომლობით ან კომისიის გადაწყვეტილებით სხდომაზე შეიძლება მოიწვიონ საჭირო ინფორმაციის მქონე სხვა პირებიც.

კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმების უბრალო უმრავლესობით. კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს უზენაეს საბჭოში.

უზენაესი საბჭოს წევრს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ კომისიის გადაწყვეტილება მის ინტერესებთან დაკავშირებულ საკითხზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნდეს.

მუხლი 20. უზენაესი საბჭოს წევრის ეთიკის ძირითადი წესების დარღვევის საკითხის განხილვისას კომისია იღებს დადგენილებას იმის შესახებ, თუ რა სახის დარღვევას ჰქონდა ადგილი და რა ღონისძიებები უნდა იქნეს გამოყენებული უზენაესი საბჭოს წევრის ეთიკის ძირითადი წესების დამრღვევი პირის მიმართ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს რეგლამენტის დარღვევის ან უზენაესი საბჭოს წევრის მიმართ რეგლამენტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაუსაბუთებელი გამოყენების შესახებ უზენაესი საბჭოს წევრის განცხადების საფუძველზე კომისიის მიერ გამოტანილ დასკვნაში შეიძლება დაემატოს რეკომენდაციები უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისა და მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 92-ე მუხლის მე-14 პუნქტში და 156-ე მუხლში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ აფხაზეთის ასსრ 1991 წლის 9 ივლისის კანონის მოქმედების შეჩერების თაობაზე

1991 წლის 9 ივლისს აფხაზეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 92-ე მუხლის მე-14 პუნქტში და 156-ე მუხლში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ, რომლის თანახმად „აფხაზეთის ასსრ პროკურორი ინიშნება სსრკ გენერალური პროკურორისა და საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის თანხმობით აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს მიერ და მასვე ექვემდებარება. კანონიერების შესრულებისადმი ზედამხედველობის განხორციელებისას აფხაზეთის ასსრ პროკურორი ექვემდებარება სსრკ გენერალურ პროკურორს და საქართველოს გენერალურ პროკურორს.

აფხაზეთის ასსრ პროკურორის მოადგილეებს საქართველოს გენერალურ პროკურორთან შეთანხმებით, აფხაზეთის ასსრ პროკურორის წარდგინებით ნიშნავს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭო.

აფხაზეთის ასსრ რაიონებისა და ქალაქების პროკურორებს ნიშნავს აფხაზეთის ასსრ პროკურორი საქართველოს გენერალურ პროკურორთან შეთანხმებით".

აფხაზეთის ასსრ ეს კანონი ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 177-ე მუხლს, რომლის შესაბამისად „საქართველოს რესპუბლიკაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორებს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების წარდგინებით.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 121 (4) მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე **ვადგენ:**

1. შეჩერებულ იქნეს აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 92-ე მუხლის მე-14 პუნქტში და 156-ე მუხლში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ აფხაზეთის ასსრ 1991 წლის 9 ივლისის კანონის მოქმედება, რადგანაც იგი ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას.

2. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 82-ე მუხლის საფუძველზე წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ უზენაეს საბჭოს აფხაზეთის ასსრ პროკურორის, მისი მოადგილეების, ქალაქებისა და რაიონების პროკურორების დანიშვნისას იხელმძღვანელონ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 177-ე მუხლის მოთხოვნებით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 5 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 20 ივლისის ბრძანებულების მოქმედების შეჩერების შესახებ

1991 წლის 20 ივლისს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება „აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შექმნის შესახებ".

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ეს აქტი აშკარად ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას, მოქმედ კანონმდებლობასა და თვით აფხაზეთის ასსრ კანონს „აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ".

ცენტრალური საარჩევნო კომისიის საერთო რაოდენობის ორ მესამედს შეადგენენ ბლოკ „სოიუზის" წარმომადგენლები. კომისიის 13 წევრი სოხუმელია, მაშინ, როცა მის შემადგენლობაში ყოვლად უსაფუძვლოდ არ შეუყვანიათ გულრიფშის, ოჩამჩირისა და სოხუმის რაიონების აღმასკომების მიერ წარდგენილი კანდიდატურები. ამის გამო დაირღვა აფხაზეთის ასსრ საარჩევნო კანონის მე-20 მუხლის მოთხოვნა, რომლის თანახმად ცენტრალური საარჩევნო კომისია უნდა ჩამოყალიბდეს რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების წინადადებათა გათვალისწინებით.

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების შედეგად აშკარად დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აღმოჩნდა აფხაზეთის ქართული მოსახლეობა, მისი საარჩევნო უფლებები არაქართველებთან შედარებით არაფრით არ არის დაცული, ქართველ ამომრჩეველთა მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ აფხაზეთის კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებათა გასაჩივრების წესი. ყოველივე ამის გამო დარღვეულია საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 34-ე მუხლის დებულება, რომელიც ადგენს საქართველოს რესპუბლიკაში სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეთა თანასწორი უფლებებით უზრუნველყოფის პრინციპს.

აფხაზეთის ასსრ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნების ჩატარება არადემოკრატიულად, კანონმდებლობის უხეში დარღვევით შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ამთავითვე განაპირობებს თვით არჩევნების კანონსაწინააღმდეგო ხასიათს.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 121 (4)-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე **ვადგენ:**

შეჩერებულ იქნეს „აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შექმნის შესახებ" აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 20 ივლისის ბრძანებულება, რადგან იგი ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის „კონსტიტუციასა და მოქმედ კანონმდებლობას.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 5 აგვისტო.

პროექტი

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საინვესტიციო საქმიანობის შესახებ

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საინვესტიციო საქმიანობის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ პირობებს, ინვესტიციების სახელმწიფოებრივი დაცვის და რეგულირების ნორმებს. მისი მიზანია:

საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების უფლებების, ინტერესებისა და ქონების თანაბარი დაცვა განურჩევლად საკუთრების ფორმებისა;

რესპუბლიკის სამეურნეო კომპლექსის ეფექტური ფუნქციონირება, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების თანამიმდევრული დაკმაყოფილება.

I. საერთო დებულებები

მუხლი 1. ინვესტიციები

ინვესტიციად ითვლება ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა, რომელიც დაბანდებულია სამეწარმეო ან სხვა სახის საქმიანობის ობიექტებში მოგების (შემოსავლის) ან სოციალური ეფექტის მიღების მიზნით.

ასეთი ფასეულობები შეიძლება იყოს:

ფულადი სახსრები, მიზნობრივი საბანკო შენატანები, პაი, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები;

მოძრავი და უძრავი ქონება — შენობები, ნაგებობები, მოწყობილობები და სხვა მატერიალური ფასეულობები;

პატენტი, ლიცენზია, „ნოუ-ჰაუ", გამოცდილება და სხვა ინტელექტუალური ფასეულობანი;

მიწით ან სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლება, აგრეთვე სხვაგვარი ქონებრივი უფლებები;

სხვა ფასეულობები.

ინვესტიციები ძირითადი ფონდების კვლავწარმოებაში შეიძლება განხორციელდეს კაპიტალურ დაბანდებათა ფორმით.

მუხლი 2. საინვესტიციო საქმიანობა

1. საინვესტიციო საქმიანობაში იგულისხმება ინვესტაციის სარეალიზაციო პრაქტიკულ მოქმედებათა ერთობლიობა.

2. საინვესტიციო საქმიანობის საფუძვლებია:

— კერძო და კოლექტიური ინვესტირება, რომელსაც ახორციელებენ მოქალაქეები, არასახელმწიფო საწარმოები, კოოპერატივები, სამეურნეო ასოციაციები, საზოგადოებები და ამხანაგობები, აგრეთვე კოლექტიური საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციები, კერძო და კოლექტიურ საკუთრებაზე დაფუძნებული სხვა იურიდიული პირები;

— სახელმწიფო ინვესტირება, რომლებსაც ახორციელებენ საქართველოს რესპუბლიკის, მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნების ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები. საბიუჯეტო სახსრების, ბიუჯეტგარეშე ფონდების და ნასესხები სახსრების ხარჯზე, აგრეთვე სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები საკუთარი და ნასესხები სახსრების ხარჯზე;

— უცხოური ინვესტირება, რომელსაც ახორციელებენ უცხოელი მოქალაქეები, იურიდიული პირები და სახელმწიფოები;

— ერთობლივი ინვესტირება, რომელსაც ახორციელებენ საქართველოს რესპუბლიკის და უცხოელი მოქალაქეები, იურიდიული პირები, სახელმწიფოები;

— შერეული ინვესტირება, რომელიც შეიძლება განხორციელდეს რამოდენიმე ზემოჩამოთვლილი ფორმის კომბინირების საფუძველზე.

მუხლი 3. საინვესტიციო საქმიანობის ობიექტები

საინვესტიციო საქმიანობის ობიექტებია:

— სამეურნეო კომპლექსის ყველა სფეროსა და დარგში შესაქმნელი და გასაახლებელი ძირითადი ფონდები და საბრუნავი საშუალებები, ფასიანი ქაღალდები, მიზნობრივი ფულადი შენატანები, სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქცია, ინტელექტუალური ფასეულობები, საკუთრების სხვა ობიექტები და აგრეთვე ქონებრივი უფლებები;

— აკრძალულია იმ ობიექტების ინვესტირება, რომელთა შექმნა და გამოყენება ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილ სანიტარიულ-ჰიგიენურ, ეკოლოგიურ და სხვა ნორმებს, აგრეთვე აყენებს ზარალს მოქალაქეთა, იურიდიული პირების და სახელმწიფოს კანონით დაცულ უფლებებსა და ინტერესებს.

მუხლი 4. საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტები

1. საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტი (ინვესტორი, მონაწილე), შეიძლება იყოს საქართველოს რესპუბლიკის ან უცხოელი მოქალაქე, იურიდიული პირი, სახელმწიფო.

2. საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტად — ინვესტორად ითვლება ის, ვინც ღებულობს გადაწყვეტილებას საკუთარი, ნასესხები და მოზიდული ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობების სამეწარმეო ან სხვა სახის საქმიანობაში ჩართვის თაობაზე.

ინვესტორს შეუძლია გამოვიდეს ფასეულობის შემტანის, კრედიტორის, მყიდველის როლში, აგრეთვე შეასრულოს საინვესტიციო საქმიანობის ნებისმიერი მონაწილის ფუნქცია.

3. საინვესტიციო საქმიანობის მონაწილენი არიან საქართველოს რესპუბლიკის და უცხოელი მოქალაქეები და იურიდიული პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინვესტიციის განხორციელებას, როგორც შემსრულებლები, ან ინვესტორის დავალების საფუძველზე.

მუხლი 5. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა საინვესტიციო საქმიანობის შესახებ

საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ურთიერთობანი საქართველოს რესპუბლიკაში რეგულირდება ამ კანონით და მის შესაბამისად გამოცემული საკანონმდებლო აქტებით.

საქართველოს რესპუბლიკის სუბიექტების საინვესტიციო საქმიანობა უცხოეთში რეგულირდება იმ ქვეყნების კანონმდებლობით, რომელთა ტერიტორიაზეც ხორციელდება ეს საქმიანობა, შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებით და აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის სპეციალური კანონმდებლობით;

უცხოელი სუბიექტების საინვესტიციო საქმიანობა საქართველოს რესპუბლიკაში რეგულირდება ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის კანონით უცხოური ინვესტიციების შესახებ.

II. საინვესტიციო საქმიანობის განხორციელება

მუხლი 6. ინვესტორის უფლებები

1. ყველა ინვესტორს აქვს საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების თანასწორი უფლება.

ინვესტორის მიერ ქონებრივ და ინტელექტუალურ ფასეულობათა გამოყენება იმ ობიექტის ინვესტირებისათვის, რომელიც არ არის აკრძალული ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა კანონმდებლობით, შეუზღუდავია, მიჩნეულია მის განუყოფელ უფლებად და დაცულია კანონით.

2. ინვესტორი დამოუკიდებლად საზღვრავს განსახორციელებელი ინვესტიციის მოცულობებს, მიმართულებასა და ეფექტურობას და თავისი შეხედულებით მოიზიდავს ინვესტიციის რეალიზაციისათვის საჭირო მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს.

3. ინვესტიციის და მისი განხორციელების შედეგების ფლობის, გამოყენების, განკარგვის უფლებები ინვესტორის გადაწყვეტილებით შეიძლება გადაცემულ იქნეს სხვა მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებზე კანონით დადგენილი წესით. უფლებების ასეთი გადაცემის შემთხვევაში, მხარეთა ურთიერთობები რეგულირდება ხელშეკრულების საფუძველზე.

4. ინვესტირებისათვის შეიძლება მოზიდულ იქნეს საფინანსო სახსრები კრედიტის, კანონმდებლობით დაწესებული წესით ფასიანი ქაღალდების გამოშვების და სესხის სახით.

ინვესტორის ქონება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა უზრუნველყოფის სახით. გირაოდ მიიღება მხოლოდ ის ქონება, რომელიც არის ინვესტორის საკუთრებაში (ან ეკუთვნის მას სრული სამეურნეო გამგებლობის უფლებით), თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით. დაგირავებული ქონება საგირაო ვალდებულებათა დარღვევისას შეიძლება რეალიზებულ იქნეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ინვესტორს უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტების შესაბამისად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს ინვესტიციის ობიექტებსა და შედეგებს, რეინვესტიციისა და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სავაჭრო ოპერაციების შედეგების ჩათვლით.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით შეიძლება განსაზღვრული იქნეს ობიექტები, რომელთა ინვესტირებას არ მოჰყვება მათი საკუთრებად შეძენის უფლება, მაგრამ არ გამორიცხავს მათი შემდგომი ფლობის, სამეურნეო მართვის ან ამ ობიექტების ექსპლოატაციიდან მიღებულ შემოსავალში ინვესტორის მონაწილეობის შესაძლებლობას.

6. ინვესტორს უფლება აქვს შეიძინოს მისთვის საჭირო ქონება მოცულობისა და ნომენკლატურის შეუზღუდავად მოქალაქეებისაგან, იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან უშუალოდ, ან შუამავლების მეშვეობით, მხარეთა შორის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფასებში და პირობებში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

მუხლი 7. საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტებს შორის ურთიერთობა

1. ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდება მხარეთა ურთიერთდამოკიდებულება საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტებს შორის არის ხელშეკრულება (შეთანხმება).

ხელშეკრულების დადება, პარტნიორების არჩევანი, ვალდებულებათა და სამეურნეო ურთიერთდამოკიდებულების სხვა ნებისმიერი პირობების განსაზღვრა, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას, საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტთა განსაკუთრებული კომპეტენციაა.

საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების სახელშეკრულებო ურთიერთობის განხორციელებაში სახელმწიფო ორგანოების და თანამდებობის პირთა ჩარევა დაშვებულია მხოლოდ მათი მკაცრად განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში.

საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტებს უფლება აქვთ მოაწყონ ვაჭრობა-კონკურსები მოქალაქეთა და იურიდიული პირების საინვესტიციო საქმიანობაში ჩაბმის მიზნით.

2. საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტებს შორის დადებული ხელშეკრულების პირობები თავიანთ ძალას ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში ინარჩუნებენ. თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ ხელშეკრულების პირობების შეცვლაზე, ეს პირობები ძალაშია მაშინაც, როცა ხელშეკრულების დადების შემდეგ მიღებული კანონმდებლობით დადგინდება პირობები, რომლებიც აუარესებენ სუბიექტების მდგომარეობას.

მუხლი 8. საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების მოვალეობანი

1. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად ინვესტორი ვალდებულია:

— წარუდგინოს საფინანსო ორგანოებს დეკლარაცია მის მიერ განხორციელებული ინვესტიციის მოცულობის შესახებ;

— მიიღოს და გაითვალისწინოს სახელმწიფო ექსპერტიზის დასკვნები საინვესტიციო პროექტებზე სანიტარიულ-ჰიგიენური, ეკოლოგიური, ქალაქთმშენებლობის, არქიტექტურის, შენობა-ნაგებობების მდგრადობისა და ტექნოლოგიურ მოთხოვნათა თვალსაზრისით.

— მიიღოს ხელისუფლების შესაბამისი ორგანოებიდან და სპეციალური სამსახურებიდან საჭირო ნებართვები და შეთანხმებები კაპიტალურ მშენებლობაზე.

2. საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია:

— დაიცვას მოქმედი ნორმები და სტანდარტები;

— არ დაუშვას არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, შეასრულოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოთხოვნები;

— შეასრულოს მის მიმართ სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში წაყენებული მოთხოვნები;

— დადგენილი წესის შესაბამისად აწარმოოს საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშგება.

3. საინვესტიციო საქმიანობის თითოეულ მონაწილეს, რომელსაც ევალება სპეციალურ სამუშაოთა შესრულება, ამა თუ იმ სახის სამუშაოს ჩასატარებლად უნდა ჰქონდეს უფლებრივი ლიცენზია. ასეთ სამუშაოთა ჩამონათვალი და მათი ლიცენზირების წესი დადგინდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

მუხლი 9. საინვესტიციო საქმიანობის საფინანსო წყაროები

საინვესტიციო საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს შემდეგი წყაროებით:

— ინვესტორის საკუთარი საფინანსო სახსრებით (მოგება, საამორტიზაციო ანარიცხები, ფულადი დანადგარები, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა დანაზოგები და სხვა);

— ინვესტორის საკრედიტო-საფინანსო სახსრებით (საობლიგაციო სესხები, საბანკო და საბიუჯეტო კრედიტები);

— ინვესტორის მიერ მოზიდული საფინანსო სახსრებით (აქციების გაყიდვით მიღებული სახსრებით, ფიზიკური და იურიდიული პირების საპაიო და სხვა შენატანები).

— საბიუჯეტო საინვესტიციო ასიგნებებით.

III. საინვესტიციო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება

მუხლი 10. საინვესტიციო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების მიზნები და ფორმები

1. საინვესტიციო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება ქვეყნის ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალური პოლიტიკის რეალიზაციის მიზნით. იგი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ დამტკიცებული სამეურნეო კომპლექსის განვითარების პროგრამებით, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულ სახელმწიფო დაფინანსების მოცულობებით.

სახელმწიფო აწესებს შეღავათიან პირობებს ინვესტორისათვის, რომელიც ახორციელებს საინვესტიციო საქმიანობას საზოგადოებრივი მოთხოვნების დაკმაყოფილების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მიმართულებებით და უპირველეს ყოვლისა სოციალურ სფეროში, წარმოების ტექნიკურ სრულყოფაში, აღმოჩენებისა და გამოგონებათა დანერგვაში.

2. საინვესტიციო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება მოიცავს საინვესტიციო საქმიანობის პირობების მოწესრიგებას და სახელმწიფო ინვესტიციების პირდაპირ მართვას.

მუხლი 11. საინვესტიციო საქმიანობის პირობების სახელმწიფო რეგულირება

საინვესტიციო საქმიანობის პირობების სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ საქართველოს რესპუბლიკის და მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად:

— გადასახადების საშუალებით საგადასახადო განაკვეთების აწევითა და შეღავათების სისტემით საინვესტიციო მოთხოვნილების რეგულირების მიზნით შეიძლება შემოღებულ იქნეს ინვესტიციის დიფერენცირებული (სუბიექტებისა და ობიექტების) გადასახადი ან დაწესდეს გადასახადისაგან ინვესტირების გათავისუფლების პირობები;

— საამორტიზაციო პოლიტიკის გატარებით. კერძოდ, ძირითადი ფონდების დაჩქარებული ამორტიზაციის პოლიტიკის გატარებით. ამასთან ერთად შეღავათები ამორტიზაციის მიხედვით შეიძლება დაწესებულ იქნეს დიფერენცირებულად ეკონომიკის ცალკეული დარგებისა და სფეროებისათვის, ძირითადი ფონდების ელემენტებისათვის, მოწყობილობათა სახეებისათვის და ა. შ.

— ცალკეული რეგიონის, დარგისა და საწარმოს განვითარებისათვის ფინანსური დახმარების მიცემით დოტაციის, სუბსიდიების, სუბვენციების, საბიუჯეტო სესხების სახით;

— საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებით, სახელმწიფო ნორმებითა და სტანდარტებით, ანტიმონოპოლიური ღონისძიებებით სახელმწიფო საკუთრების პრივატიზებით და ფასწარმოქმნის პოლიტიკის საშუალებით;

— მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენების განსაკუთრებული პირობების დაწესებით;

— საინვესტიციო პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზის კრიტერიუმების გამკაცრების ან ლიბერალიზების გზით;

საინვესტიციო საქმიანობის სახელმწიფოებრივი რეგულირების ეკონომიკურ ბერკეტად შეიძლება გამოყენებულ იქნენ მცირე საწარმოთა მხარდამჭერის ფონდები და ბიუჯეტგარეშე საინვესტიციო ფონდები, რომლებიც იქმნებიან საქართველოს რესპუბლიკის და მისი ავტონომიური რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესით.

მუხლი 12. სახელმწიფო ინვესტიციის პირდაპირი მართვა

სახელმწიფო ინვესტიციების პირდაპირი მართვა ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის, მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ და მოიცავს გადაწყვეტილების მიღებას, პირობების განსაზღვრის და კონკრეტული მოქმედების განხორციელებას საბიუჯეტო სახსრების, ბიუჯეტგარეშე ფონდების და ნებაყოფლობის საფუძველზე მოზიდული სხვა სახსრების ინვესტირებისათვის.

მუხლი 13. საინვესტიციო საქმიანობაში საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ურთიერთქმედება

საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ურთიერთქმედება საინვესტიციო საქმიანობაში ხორციელდება:

საქართველოს რესპუბლიკის მიერ — ავტონომიურ რესპუბლიკებთან ერთად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების დამუშავების, რესპუბლიკური პროგრამების შედგენისა და რეალიზაციის, ასევე ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებთან ერთად ნებაყოფლობით საფუძველზე რეგიონალური ფონდების, კერძოდ: სარეზერვო, საინოვაციო, ბუნების დაცვის და სხვა რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური, ეკონომიკური, სოციალური, ბუნების დაცვის, აგროსამრეწველო კომპლექსის და სხვა პროგრამების დასაფინანსებლად, აგრეთვე სტიქიური უბედურებების, კატასტროფების და ავარიების თავიდან აცილების და მათი შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოებისათვის;

ავტონომიური რესპუბლიკების მიერ — საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საერთო სახელმწიფოებრივი პროგრამების შედგენაში და მათი რეალიზაციის გზების დასახვაში მონაწილეობის მიღების გზით, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საინვესტიციო საქმიანობის რეგულირებით საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტების შესაბამისად;

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ — ტერიტორიის სოციალ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების დამუშავებისა და დამტკიცების გზით თავიანთი რწმუნებების ფარგლებში; აგრეთვე შესაბამის ტერიტორიაზე ეკონომიკური და სოციალური ობიექტების შექმნის, ბუნებრივი რესურსების გამოყენების და ბუნებრივი გარემოს დაცვის საკითხების შეთანხმებით.

მუხლი 14. რესპუბლიკური სახელმწიფო ინვესტიციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი

1. (ვარიანტი I). წინადადებას რესპუბლიკური სახელმწიფო ინვესტიციის შესახებ ამზადებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროგნოზების, საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების სქემების, მიზნობრივი რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური და კომპლექსური პროგრამების და ამ ინვესტიციების მიზანშეწონილობის განმსაზღვრელ ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების საფუძველზე.

1. (ვარიანტი II). წინადადებას რესპუბლიკური სახელმწიფო ინვესტიციის შესახებ ამზადებს საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საინვესტიციო საბჭო საქართველოს რესპუბლიკის სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროგნოზების, საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების სქემების, მიზნობრივი რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური და კომპლექსური პროგრამების და ამ ინვესტიციების მიზანშეწონილობის განმსაზღვრელ ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების საფუძველზე.

2. რესპუბლიკური მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების პროექტები მუშავდება რესპუბლიკის მთავრობის მიერ განსაზღვრული წესით ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოების, დაინტერესებული სახელმწიფოებრივი ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით და წარედგინება განსახილველად საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.

3. (ვარიანტი I). საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ამტკიცებს რესპუბლიკური სახელმწიფო ინვესტიციების მოცულობებს, მათ შორის, რესპუბლიკურ სახელმწიფო შეკვეთებში შეტანილი მსხვილი საინვესტიციო ობიექტების ჩამონათვალს.

3. (ვარიანტი II). საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, რესპუბლიკის უმაღლესი საინვესტიციო საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს რესპუბლიკური სახელმწიფო ინვესტიციების მოცულობებს, მათ შორის რესპუბლიკურ სახელმწიფო დაკვეთებში შეტანილი მსხვილი საინვესტიციო ობიექტების ჩამონათვალს.

4. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოების მონაწილეობით რესპუბლიკური სახელმწიფო ინვესტიციების განსაზღვრისას უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას ინვესტიციების მოცულობათა რესპუბლიკური დაკვეთის მიხედვით დადგენილ ვადებში რეალიზაციასთან.

5. ასიგნებანი რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოიყოფა მხოლოდ უმნიშვნელოვანესი საინვესტიციო ობიექტებისათვის და საერთორესპუბლიკური პროგრამების სარეალიზაციოდ.

რესპუბლიკური ბიუჯეტების შემადგენლობაში გამოიყოფა განვითარების სპეციალური საფინანსო პროგრამა, რომელიც განსაზღვრავს გასავლებს საინვესტიციო ღონისძიებების განსახორციელებლად.

სახელმწიფო საინვესტიციო ფინანსური სახსრები შეიძლება გამოიყოს ორი წესით — გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ სახსრების აუცილებელი დაბრუნების პირობით და დაუბრუნებლად.

6. ერთობლივი ინვესტირება რესპუბლიკის სახელმწიფო ინვესტიციის მონაწილეობით ხორციელდება ამ კანონის მიხედვით რესპუბლიკური სახელმწიფო ინვესტიციის რეალიზაციისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 15. კაპიტალურ მშენებლობაში. რესპუბლიკური სახელმწიფო ინვესტიციების ექსპერტიზა და დამტკიცება

1. რესპუბლიკური სახელმწიფო ინვესტიციებით ასაშენებელი ობიექტების პროექტები ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო ექსპერტიზას, მათ შორის ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. ექსპერტიზა ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილი წესით.

2. რესპუბლიკური მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების, აგრეთვე რესპუბლიკური სახელმწიფო დაკვეთის ყველაზე მნიშვნელოვანი და მსხვილი ობიექტების პროექტების ექსპერტიზა ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით შექმნილი საექსპერტო კომისიების მიერ, რომლებშიც შედიან სამეცნიერო, საზოგადოებრივი, პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზის ორგანოების და სხვა ორგანიზაციებისა და შესაბამისი რეგიონების წარმომადგენლები. შეიძლება აგრეთვე უცხოელი სპეციალისტების მოწვევაც.

3. მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების, რესპუბლიკური სახელმწიფო დაკვეთის ყველაზე მნიშვნელოვანი და მსხვილი ობიექტების პროექტები რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს დასამტკიცებლად წარედგინება საექსპერტო კომისიების დასკვნებთან ერთად.

4. ობიექტების მშენებლობაზე რესპუბლიკური სახელმწიფო შეკვეთის დამტკიცება წარმოებს რესპუბლიკურ და ადგილობრივ სახელმწიფო ორგანოებთან მათი განთავსების შეთანხმების შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 16. კაპიტალურ მშენებლობაზე სახელმწიფო შეკვეთების განთავსების წესი

1. სახელმწიფო ინვესტიციის რეალიზაციის ერთ-ერთი ფორმა სახელმწიფო შეკვეთა კაპიტალურ მშენებლობაზე.

2. სახელმწიფო შეკვეთა კაპიტალურ მშენებლობაზე გაიცემა საწარმოო სიმძლავრეების შესაქმნელად ან სხვა ობიექტების ასაშენებლად მათი ამოქმედების ვადის მითითებით.

3. სახელმწიფო შეკვეთა, როგორც წესი, განთავსდება კონკურსის საფუძველზე. ცალკეულ შემთხვევებში რესპუბლიკის მთავრობას უფლება აქვს დააწესოს საინვესტიციო საქმიანობის მონაწილე ყველა სახელმწიფო საწარმოსა და ორგანიზაციისათვის სავალდებულო სახელმწიფო შეკვეთები, მონაწილეთათვის შეკვეთების შესახებ ეკონომიკური სარგებლიანობის გათვალისწინებით,

4. საინვესტიციო საქმიანობის ნებისმიერ მონაწილეს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს კაპიტალურ მშენებლობაზე სახელმწიფო შეკვეთის მისაღებად გამართულ კონკურსებში.

5. სახელმწიფო შეკვეთის ობიექტების ექსპლოატაციაში მიღება წარმოებს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილი წესით.

6. სახელმწიფო შეკვეთის ობიექტების მოიჯარესთან საბოლოო ანგარიშსწორება ხდება სახელმწიფო კომისიის აქტების დამტკიცების შემდეგ.

მუხლი 17. სახელმწიფო ინვესტიციის ფასიან ქაღალდებში, დეპოზიტებში, მოძრავ და უძრავ ქონებაში და სხვა ფასეულობებში ჩართვის წესი

1. (ვარიანტი I). სახელმწიფო ინვესტიციის მოცულობები ფასიან ქაღალდებში, დეპოზიტებში, მოძრავ და უძრავ ქონებაში და სხვა ფასეულობებში მტკიცდება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ.

1. (ვარიანტი II). სახელმწიფო ინვესტიციების მოცულობები ფასიან ქაღალდებში, დეპოზიტებში, მოძრავ და უძრავ ქონებაში და სხვა ფასეულობებში უმაღლესი საინვესტიციო საბჭოს წარდგინებით მტკიცდება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ.

2. აღნიშნული საინვესტიციო პროექტები სავალდებულო სახელმწიფო ექსპერტიზას გაივლის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 18. ფასწარმოქმნა საინვესტიციო საქმიანობაში

საინვესტიციო პროცესში პროდუქციის, სამუშაოთა და მომსახურების ღირებულება განისაზღვრება სახელშეკრულებო ფასებით, მათ შორის ჩატარებული ვაჭრობა-კონკურსების შედეგების მიხედვით, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში — სახელმწიფო ფასებით.

მშენებლობის სახელშეკრულებო ფასების განსაზღვრისას სახელმწიფო სახარჯთაღრიცხვო ნორმები და ფასები გამოიყენება სარეკომენდაციო ნორმების სახით.

IV. საინვესტიციო საქმიანობის სამართლებრივი გარანტიები და ინვესტიციის დაცვა

მუხლი 19. საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების უფლებათა გარანტიები

1. სახელმწიფოს მიერ საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების უფლებები გარანტირებულია. ისეთი საკანონმდებლო აქტების მიღების შემთხვევაში, რომელთა დებულებებიც ზღუდავს საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების უფლებებს, ეს დებულებები არ შეიძლება შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ მათი გამოქვეყნების მომენტიდან ერთ წელზე ადრე.

2. სახელმწიფო ორგანოების მიერ ინვესტორებისა და საინვესტიციო საქმიანობის მონაწილეთა უფლებების დამრღვევი აქტების მიღების შემთხვევაში, ამ აქტების მიღების შედეგად მიყენებული ზარალი, ხელიდან გაშვებული სარფის ჩათვლით, მათ აუნაზღაურდებათ ამ ორგანოების მიერ ნებაყოფლობით ან სასამართლოს, ან საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით. აქტის მიმღები ორგანოს სახსრების უკმარისობის შემთხვევაში ზარალი ანაზღაურდება შესაბამისი ზემდგომი სახელმწიფო ორგანოს მიერ.

სახელმწიფო ორგანოებს და სახელმწიფო თანამდებობის პირებს უფლება არა აქვთ ჩაერიონ საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების საქმიანობაში გარდა შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ჩარევა დაშვებულია კანონმდებლობით და ხორციელდება ამ ორგანოებისა და თანამდებობის პირთა კომპეტენციის ფარგლებში.

დაუშვებელია ინვესტორის უფლების შეზღუდვა ინვესტირების ობიექტის შერჩევაში, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. საინვესტიციო საქმიანობა შეწყდება ან შეჩერდება გადაწყვეტილებით, რომელიც მიიღება:

— ინვესტორების მიერ, ამასთან ერთად ინვესტორები ვალდებული არიან საინვესტიციო საქმიანობის მონაწილეებს აუნაზღაურონ მიყენებული ზარალი;

— უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ.

სახელმწიფო ორგანოს მიერ საინვესტიციო საქმიანობის შეწყვეტის ან შეჩერების გადაწყვეტილების მიღების საფუძველი შეიძლება იყოს:

— გადახდის უუნარობის გამო კანონით დადგენილი წესის შესაბამისად ინვესტორის ბანკროტად გამოცხადება;

— სტიქიური უბედურებისა და სხვა დაუძლეველი ძალების მოქმედების შემთხვევები;

— ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობა.

თუ საინვესტიციო საქმიანობის პროცესში გაირკვა, რომ მისი გაგრძელება გამოიწვევს სანიტარიულ-ჰიგიენური, ეკოლოგიური და სხვა კანონმდებლობით დადგენილი ნორმების, მოქალაქეთა, იურიდიული პირების და სახელმწიფოს მიერ კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესების დარღვევას, საინვესტიციო საქმიანობის მონაწილეთა ზარალის ანაზღაურების წესი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

მუხლი 20. საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების პასუხისმგებლობა

სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში საინვესტიციო საქმიანობათა სუბიექტებს ეკისრებათ კანონმდებლობითა და დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ქონებრივი და სხვა პასუხისმგებლობა.

სახელშეკრულებო პირობების დარღვევისათვის ჯარიმებისა და პირგასამტეხლოს გადახდა, აგრეთვე მიყენებული ზარალის ანაზღაურება არ ათავისუფლებს ბრალეულ მხარეს მოვალეობის შესრულებისაგან, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ამ კანონით ან ხელშეკრულებით.

მუხლი 21. პასუხისმგებლობა სახელმწიფო შეკვეთის რეალიზაციისას

1. სახელმწიფო შეკვეთის შესასრულებლად აღებული ვალდებულებების ან კანონის საფუძველზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისას ყველა დონის სახელმწიფო ორგანოს თავიანთი მოვალეობის შესაბამისად ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების წინაშე. ამ ორგანოების სახსრების უკმარისობის შემთხვევაში ზარალი ანაზღაურდება მათი ზემდგომი ორგანოს მიერ. დამნაშავე თანამდებობის პირები პერსონალურად აგებენ პასუხს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. სახელმწიფო ორგანოებს ეკისრებათ ქონებრივი პასუხისმგებლობა ერთმანეთის მიმართ სახელმწიფო შეკვეთის რეალიზაციასთან დაკავშირებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო და ვალდებული არიან ერთმანეთს აუნაზღაურონ ზარალი ხელიდან გაშვებული სარფის ჩათვლით.

3. საინვესტიციო საქმიანობის მონაწილეებს ეკისრებათ ქონებრივი პასუხისმგებლობა ინვესტორის — სახელმწიფოს წინაშე სახელმწიფო შეკვეთის რეალიზაციაზე, კანონმდებლობითა და დადებული ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

მუხლი 22. ინვესტიციის დაცვა

1. სახელმწიფოს მიერ გარანტირებულია ინვესტიციის დაცვა მიუხედავად საკუთრების ფორმისა. ინვესტიციის დაცვა უზრუნველყოფილია საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

2. დაუშვებელია ინვესტიციების უსასყიდლოდ ნაციონალიზება ან რეკვიზირება, ან შედეგების მიხედვით მათი ტოლფასი ზომების გამოყენება. ასეთი ზომები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტების საფუძველზე. ამ შემთხვევაში ინვესტორებს ეძლევათ გასასხვისებელი საინვესტიციო ქონების შეფასებითი ღირებულების კომპენსაცია.

ინვესტორების მიერ შეტანილი ან შეძენილი საბანკო მიზნობრივი ანაბრები. აქციები და სხვაგვარი ფასიანი ქაღალდები, მოწყობილობის შესაძენად ან საიჯარო უფლების მისაღებად მათი გადახდილი თანხა ჩამორთმევის შემთხვევაში ინვესტორებს აუნაზღაურდებათ საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, გარდა იმ თანხებისა, რომლებიც აღმოჩნდა გამოუყენებელი, დაკარგული თვით ინვესტორების მოქმედებით ან მათი წამოწყებების განხორციელებისას.

3. დავა, რომელიც წარმოიქმნება საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებით განიხილება შესაბამისად სასამართლოსა ან საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ.

4. ინვესტიციების დაზღვევა შეიძლება, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში — სავალდებულოა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

საქართველოს ჰელსინკის კავშირის გამგეობის განცხადება

ახლახან გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში" გამოქვეყნდა ანონიმ ავტორთა „დეკლარაცია", რომელიც ამაყად გვამცნობს, რომ პარტიებით დახუნძლულ საქართველოში შეიქმნა კიდევ ერთი ჯგუფი — „ჰელსინკი-91".

„დეკლარაციის" შემოქმედთ მეტად უცნაური გულმავიწყობა დასჩემებიათ: დავიწყებიათ, რომ 1976 წლიდან ჩვენში უკვე მოქმედებს ბატონ ზვიად გამსახურდიას და აწ განსვენებულ მერაბ კოსტავას მიერ დაარსებული ჰელსინკის ჯგუფი (იგივე ჰელსინკის კავშირი). ამ ფაქტისათვის ანგარიშის გაუწევლობა თავისთავად მეტყველებს ანონიმ შემოქმედთა „კეთილსინდისიერებაზე", მათს, უკაცრავად პასუხია და, „დეკლარაციაში" არ მოიძებნება არც ერთი პუნქტი, რასაც ვერ ვნახავდით საქართველოს ჰელსინკის კავშირის პროგრამაში. მაშ, რას მივაწეროთ ახლად გამომცხვარი „ჯგუფის" ინიციატორთა ახირება? იქნებ ყოველივე მხოლოდ ფანტაზიის სიმწირის ბრალია? წარმოიდგინეთ, პატივცემულო მკითხველო, როგორი ვითარება შეიქმნება საქართველოში ყოველწლიურად რომ გაგრძელდეს მსგავსი პრაქტიკა? სავსებით დასაშვებია 1992 წელს ჩამოყალიბდეს „ჰელსინკი-92", 1993 წელს კი — „ჰელსინკი-93" და ასე შემდეგ გაუთავებლად...

ნება მიბოძეთ, ჰელსინკის სულისკვეთებით ასე დაგვიანებულად „დამუხტულ" ანონიმ ავტორებს შევეკითხოთ: კი მაგრამ, მაშინ რატომ არაფერს ამბობდით პოლიტპატიმართა შესახებ, ქართველი დისიდენტები საპყრობილეებში რომ იტანჯებოდნენ, ან ხმას რატომ არ იმაღლებდით იმ დანაშაულებრივი დევნისა და არაადამიანური შევიწროების გამო, რასაც ისინი განიცდიდნენ? სად იყავით, მაშინ ბატონო ანონიმურო „ჰელსინკელებო", დემოკრატიული არჩევნების შესაფერისი კანონისათვის რომ იბრძოდა ქართველი ხალხი? თურმე, ნუ იტყვით და ამჟამად თქვენი მიზანი ყოფილა „მიღწევა იმისა, რომ საქართველოში არ იყვნენ პოლიტპატიმრები". იქნებ, აქვე დაგვემტკიცებინათ, რომ ჩვენში ნამდვილად არსებობენ „პოლიტპატიმრები"... აი აქ, უკვე კარგად გამოჩნდა, რომ ღია კარის მტვრევაზე დაფუძნებულმა თქვენმა „ჯგუფმა" ვეღარ შესძლო ნამდვილ ზრახვათა დაფარვა. თქვენი ერთადერთი მიზანია ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების დისკრედიტაცია და არა ადამიანის უფლებათა დაცვა. ხოლო ამ მიზნის ინსპირატორები, კარგად ვიცით, ვინც ბრძანდებიან. იქნებ, ისიც დაგვეზუსტებინათ, რას გულისხმობთ ადამიანის უფლებათა დაცვაში — „კანონიერი ქურდებისა" და „მხედრიონის" დაცვას ხომ არა?

მიუხედავად იმისა, რომ აცხადებთ, ჩვენი ჯგუფი „არაპოლიტიკური ორგანიზაციააო", პოლიტიკანობის ბაცილა ერთობ ბლომად შეგყრიათ. ასე რომ არ იყოს და თქვენ მართლაც კეთილშობილი მიზნები გამოძრავებდეთ, მხარში ამოუდგებოდით ჩვენი ეროვნული მოძრაობის ავანგარდს — საქართველოს ჰელსინკის კავშირს. მაგრამ, როგორც ვხედავთ, საპირისპირო გზას დადგომიხართ, რამეთუ მარტოოდენ უსუსური ამბიციების ამარა შედგომიხართ „ადამიანის უფლებათა დაცვის" საშურ საქმეს. ნათქვამია, „არა შეჰგა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო" — რაც აქამდეც არ დაგიცავთ, რისთვისაც, როგორც იტყვიან, თითი თითზე არ დაგიკარებიათ, ვერც ახლა დაიცავთ. ამგვარი ტვირთის ზიდვა ერთობ დაგვიანებით გადაგიწყვეტიათ. „დაგვიანება, მაგრამ ასეთი? დაგვიანება, მაგრამ ამდენ ხნით?" — იტყოდა გალაკტიონი თქვენი დაგვიანება კი, მართლაც კანონზომიერია. იქნებ კეთილი ინებოთ და სხვა, თქვენთვის უფრო შესაფერისი სახელით მოინათლოთ.

თანადგომა

სტიქიით დაზარალებული არც ერთი ოჯახი უბინაოდ!

ასეთია რესპუბლიკის პრეზიდენტის დავალება

პრეზიდენტის ამ გადაწყვეტილების სიკეთის, თანადგომის ძალაში ვრწმუნდებით დღეს, როცა ყოველდღიურად ცრემლმორეული, მაგრამ მაინც იმედიანი თვალებით შევცქერით, თუ როგორ დგება ფეხზე მიწისძვრით ესოდენ სასტიკად იავარქმნილი ჩვენი ქალაქები და რაიონები.

დიახ, მალამოდ ედება ქართველი კაცის გულის იარას ყოველი აღმართული ახალი კედელი, უკვე სახურავში მოქცეული ასობით სახლი, ყოველი სიტყვა ნუგეშისა, ყოველი იმედის მომცემი გამოხედვა იმ ადამიანებისა, თავიანთი ვაჟკაცური მარჯვენით ნანგრევებად ქცეული ფუძეების აღდგენა-გასაცოცხლებლად რომ შემოგვევლინენ. დღეს მართლაც არ არსებობს იმაზე დიდი მადლი და სიკეთე, რომ უსახლკაროდ, ღია ცის ქვეშ დარჩენილ ადამიანებს თავშესაფარი გაუჩინო.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურია ამას წინათ ამბროლაურის რაიონში გამართულ შტაბის სხდომაზე სამშენებლო კომპლექსის უფროსის ნოდარ ხარაბაძის ინფორმაცია, სადაც ითქვა, რომ ამ რაიონში აშენებულია 596 ახალი საცხოვრებელი სახლი, რომლებიც უკვე პატრონებს გადაეცათ. მიმდინარეობს 1117 ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. დასახულია ღონისძიებები დარჩენილი 1043 დანგრეული სახლის მშენებლობის დასაწყებად. მეორე კატეგორიის დაზიანების მქონე 2519 სახლიდან აღდგენილია 1819, ხოლო შესაკეთებელი დაგვრჩა 180 სახლი, მაგრამ აქვე ითქვა, რომ დაზამთრებამდე არცთუ დიდი დრო რჩება და ყველა ჩვენგანს ელის უაღრესად რთული და შრომატევადი სამუშაო, რომელიც ძალების მაქსიმალურ დაძაბვას, სამშენებლო-სატრანსპორტო საშუალებების, მუშახელის, სახსრებისა და საწვავ-საპოხი მასალის მეტად გონივრულად და ეფექტიანად გამოყენებას მოითხოვს.

ისიც ითქვა, რომ დიდი მოცულობის სამუშაოები აქვთ გასაკეთებელი და მშენებლობის ტემპი უნდა დააჩქარონ მთელმა რიგმა სამშენებლო ორგანიზაციებმა, მეხუთე სამშენებლო ტრესტმა, საქტრანსგაზმა და სხვებმა.

აღინიშნა, რომ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაა მშენებელთა კვების საქმეში, და ცეკავშირის წინაშე აღიძრა საკითხი, რომ სასწრაფოდ და ქმედითად დაეხმარონ.

ონის რაიონში გამართულ შტაბის სხდომაზე ინფორმაციებით გამოვიდნენ სამშენებლო კომპლექსების ხელმძღვანელები ავთანდილ ჩალაძე და თამაზ მერიაკაშვილი, რომლებმაც აღნიშნეს, რომ, მიუხედავად მთელი რიგი პრობლემებისა, აღდგენითი სამუშაოების ტემპი თანდათან მატულობს; ითქვა, რომ ქალაქის 1300 აღსადგენი სახლიდან მუშაობა მიმდინარეობს 744-ზე, დამთავრებულია ყველა კომუნალური ბინის დაპროექტება. პირველი ოქტომბრისათვის დამთავრდება მეორე საშუალო სკოლის მშენებლობა. ცუდად მიმდინარეობს, ვერ იტყვი ბაგა-ბაღებისა და რაიონული საავადმყოფოს მშენებლობა, რაიონის 66 სოფელში დანგრეული და აღსადგენი 4400 სახლიდან წელს აშენდება და აღდგება 2700. ისახება ღონისძიებები ყველა დაზარალებულის ნორმალური გამოზამთრებისათვის.

ყურადღება გამახვილდა ისეთ ფაქტებზე, რომლებიც, სამწუხაროდ, ამ დიდ საქმეს ხშირად სდევს თან.

ითქვა, თუ რაოდენ სამარცხვინოა, რომ ამ დიდ ბრძოლაში, როცა შინაურიც და გარეშეც წელებზე ფეხს იდგამს სტიქიის შედეგების აღმოსაფხვრელად, ზოგი აქაური მკვიდრი უსაქმოდ დგას და ხელსაც არ წაუკრავს დასახმარებლად მოსულ სტუმარს, მის საცხოვრებელ სახლს რომ აშენებს.

სხდომაზე საგანგებოდ გაესვა ხაზი შრომის დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეს, კვლავ გულისტკივილით ილაპარაკეს იმ სამარცხვინო ტრაგიკულ ფაქტზე, რომელიც 19 ივლისს მოხდა და რომელსაც სათანადო შეფასება უნდა მისცეს რაიონის პრეფექტურამ. კარდინალურ გარდატეხას მოითხოვს სამართალდამცავი ორგანოების მუშაობა, მათ სამოქმედო პროგრამად უნდა მიიღონ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა რესპუბლიკის პროკურატურის მუშაკთა გაფართოებულ თათბირზე.

ზესტაფონში გამართულ შტაბის სხდომაზე ითქვა, რომ მართალია ზესტაფონის, თერჯოლისა და ხარაგაულის რაიონებში მიწისძვრით გამოწვეული ნგრევა დიდი მასშტაბისა არ ყოფილა, მაგრამ დღემდე არც ერთი ახალი საცხოვრებელი სახლი არ აშენებულა და ჩაბარებულა. დაჩქარებას მოითხოვს ზესტაფონის საავადმყოფოს მშენებლობის ტემპი და სათანადო სანტექნიკური მოწყობილობებით აღჭურვა, დღემდე არ არის გადაწყვეტილი ხარაგაულის პირველი საშუალო სკოლის დაპროექტების საკითხი, სოფელ ლაშის სკოლის მშენებლობისათვის ტერიტორიის გამოყოფა, თერჯოლის რაიონში ჩხარის სკოლის გამაგრების პროექტი; მოსაგვარებელია სოფლების კვახჭირის და ალისუბნის სკოლების მშენებლობის საკითხები. დანგრეული და აღსადგენი საცხოვრებელი სახლებისათვის სრულყოფილად არ არის გადაცემული სათანადო ტექნიკური დოკუმენტაციები, რაც აფერხებს სამშენებლო სამუშაოების დაწყებას.

უკანასკნელი ერთი კვირის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების შესახებ ქ. ჭიათურაში გამართული შტაბის სხდომაზე ინფორმაციით გამოვიდა სამშენებლო კომპლექსის ხელმძღვანელი ზაურ კაპანაძე, რომელმაც თქვა, რომ საჭიროა დაჩქარდეს სკოლებისა და ბაგა-ბაღების მშენებლობის ტემპი და ყველაფერი ვიღონოთ, რათა პირველ სექტემბერს ჩამოჰკრას პირველმა ზარმა.

დღეს სამშენებლო მოედნადაა ქცეული სოფელ ზოდის საშუალო სკოლის ეზო. მთელი დღის მანძილზე, დარსა თუ ავდარში შემართებით შრომობენ თბილისის № 3 ტრესტის სამშენებლო სამმართველოები (მმართველი — გენო ნიჟარაძე), მუშები, რომელთაც თავიანთი ვაჟკაცური მარჯვენით ამოჰყავთ იმედის კედლები, ყველაფერს ღონობენ, რათა ახალი სასწავლო წლისთვის დაასრულონ მშენებლობა და ახალი, უფრო ლამაზი შენობა დაახვედრონ ჩვენს მომავალ თაობას. მათთან ერთად ამ საქმეში დიდ მუშაობას ეწევიან ქალაქის განათლების განყოფილების გამგე ნანული წერეთელი, სკოლის დირექტორი პავლე გაბრიჭიძე და სოფელ ზოდის საკრებულოს გამგებელი აკაკი ძიბაშვილი.

თათბირზე ითქვა, რომ ქალაქ ჭიათურაში სულ აშენებული, გამაგრებული და შეკეთებულია 2426 საცხოვრებელი სახლი, აქედან ახლად აშენებულია 124; მუშაობა მიმდინარეობს ახლად ასაშენებელ 745 სახლზე; გასამაგრებელია 799, უკვე შეკეთებულია 1629 სახლი, მუშაობა მიმდინარეობს 799 შესაკეთებელ სახლზე.

საჩხერეში გამართულ შტაბის სხდომაზე გამოსვლისას სამშენებლო კომპლექსის ხელმძღვანელმა ილია ქევხიშვილმა აღნიშნა, რომ 6588 მუშაა დასაქმებული სტიქიით დაზიანებული ობიექტების მშენებლობაზე. დღეს სამშენებლო პოლიგონადაა ქცეული მთელი საჩხერის რაიონი. ზოგან დაზიანებული სახლების ბალავერს ჰყრიან, ზოგან დაზიანებულ სახლს ფრთხილად შლიან, რათა გადარჩენილი მასალა გამოიყენონ ახალი სახლის ასაშენებლად; ზოგან ახალი სახლის მშენებლობას ამთავრებენ, ქუჩებში განუწყვეტლივ მიმოდიან სატვირთო მანქანები, აქ მშენებლობის უწყვეტი რიტმია. როგორც ითქვა, უკვე დამთავრდა 317 ახალი სახლის მშენებლობა და მიმდინარეობს 840 ახალი სახლის მშენებლობა, იგეგმება საძირკვლების მოწყობა 892 ახლად ასაშენებელი სახლისა. აღდგენილი და გამაგრებულია 2150 სახლი.

გორის რაიონში გამართული შტაბის სხდომაზე სამშენებლო კომპლექსის ხელმძღვანელმა, ფირმა „ქართლის მშენებლის" თავკაცმა პავლე დონდუაშვილმა თქვა, რომ მიუხედავად იმ დიდი ძალისხმევისა, რომელიც აქ იგრძნობა, ამ რეგიონის ზოგიერთ სოფელში გარკვეული მიზეზების გამო გართულებულია შესვლა, საშენი მასალის შეტანა, ტრანსპორტისა და მექანიზმების შეყვანა. ამიტომ საჭიროა უფრო გააზრებული და უსაფრთხო მუშაობა, რათა სამუშაოების შესრულების დროს მიწისძვრით გამოწვეულ მსხვერპლს კიდევ მსხვერპლი არ დაემატოს.

აღინიშნა, რომ ქარელის რაიონში არ არის დამთავრებული დანგრეული და დაზიანებული სახლების პასპორტიზაცია, ნელი ტემპით მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები, უნდა დაჩქარდეს დანგრეულ სოფლებში მისასვლელი გზების მშენებლობა. შესასრულებელი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოს მოცულობა დახურულ ზონაში იმდენად დიდია, რომ საჭიროა დამატებით ტრანსპორტისა და მექანიზმების შემოყვანა, ადგილზე უნდა აწარმოონ წვრილი საკედლე ბლოკები, რისთვისაც საჭიროა გაუმჯობესდეს ინერტული მასალის შემოზიდვა, კვლავ გადაუწყვეტელია სოფელ ბელოთის მიწისძვრით დაზარალებული მოსახლეობის დასახლებისათვის უსაფრთხო ადგილების გამოყოფა, სოფელ ქსუისში მოუგვარებელია მუშათა კვების საკითხი, სოფელ ქემერტში სამი სამშენებლო ორგანიზაციაა შესული და დღემდე ვერ გარკვეულან, ვინ რომელი სახლი უნდა აღადგინოს; სოფლებში კნოლევში, ტყვიავში, ნიქოზაში, თამარაშენში, ქურთაში დღემდე არ შესულა მშენებელი, ან თუ შევიდნენ, სუსტად მუშაობენ.

საჭიროა შინაგან საქმეთა ორგანოებმა გააუმჯობესონ ამ რეგიონში შესულ მშენებელთა დაცვისა და უსაფრთხოდ მუშაობის საკითხი.

ცალკეული რეგიონების მიხედვით ჩატარებული შტაბის სხდომებზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დანგრეული და აღსადგენი ეკლესია-მონასტრების მშენებლობის დაჩქარების საკითხებს.

ითქვა ისიც, რომ რესპუბლიკის მთავრობის ღონისძიებების შედეგად საზღვარგარეთ კომერციულ ფასებში შეძენილია ბენზინი, რითაც მშენებლებს საშუალება ეძლევათ აგვისტოს ბოლომდე შეუფერხებლად იმუშაონ. ისახება გაუმჯობესების გზები რესპუბლიკის შიგნით წარმოებული საშენი მასალის გაზრდისა და მისი რესპუბლიკის გარედან შემოტანისათვის. ასევე პრაქტიკულად წყდება მექანიზმებითა და ტრანსპორტით მშენებელთა უზრუნველყოფის საკითხი. ახლა მთავარია ადგილებზე პრეფექტურებმა და სამშენებლო კომპლექსის ხელმძღვანელებმა მტკიცედ მოჰკიდონ ხელი აღდგენითი სამუშაოებისათვის მიწოდებული საშენი მასალის განაწილებაში რომ არაფერი დარღვევები მოხდეს, დღეს ყველგან და ყველაფერში განსაკუთრებული წესრიგი უნდა დამყარდეს.

უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი ბინების აღდგენა, საკრებულოების მიერ დადგენილი რიგითობის განუხრელი დაცვა, რაიონიდან წასულ ოჯახებს დახმარება უნდა გაუწიონ მხოლოდ მას შემდეგ, როცა პირველი რიგი სამუშაოები მომთავრდება; შესაბამისმა სამსახურებმა არ უნდა დაუშვან შეუსრულებელ სამუშაოებზე ხელმოწერები, რისთვისაც მკაცრად აგებენ პასუხს. ასეთი ღონისძიებები იმისთვისაც არის საჭირო, რომ გამოირიცხოს წამატებანი და სხვა ნეგატიური მოვლენები.

საკრებულოთა გამგებლებმა სრული წესრიგი უნდა დაამყარონ და თავიანთ ხელში აიღონ სამოსახლო ნაკვეთების გამოყოფის და გაცემის საკითხები. სწორედ ამ საკითხებში არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით შეიქმნა საპრეზიდენტო კომისია ქუთაისის თათბირზე, რომელსაც რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია უძღვებოდა.

ჯემალ ბურული,
„საქართველოს რესპუბლიკის" საკ. კორ.

საზღვარგარეთ

რამდენიმე სტრიქონით

ტამბოვის გაზეთ „სახალხო ტრიბუნის" აზრით, ციმბირში უნდა შეიქმნას „ციმბირის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკა", რომელიც საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი სუვერენული რესპუბლიკა იქნება. გარდა ამისა, წამოყენებულია წინადადება, რომ კრასნოიარსკის მხარის ტერიტორიაზე შეიქმნას ენისეის რესპუბლიკა.

რამდენიმე დღის განუწყვეტელმა წვიმამ დიდი წყალდიდობები გამოიწვია ავსტრიაში. განსაკუთრებით დაზიანდა ზალცბურგი. დაიღუპა ოთხი კაცი. მაშველი სამუშაოებისთვის მობილიზებულები არიან არმია, მეხანძრეები და პოლიცია.

გრძელდება ამერიკული მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდის „ატლანტისის" ორბიტული ფრენა. ასტრონავტმა ქალმა ლუსიდ შენონმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა. იგი სამჯერ იყო ღია კოსმოსში. იუნაიტედ პრეს ინთერნეშნლის სააგენტოს ცნობით, ღია კოსმოსში ნამყოფია 22 ქვეყნის 254 ასტრონავტი. აბსოლუტური რეკორდი ეკუთვნის ჯონ იანგს. იგი ექვსჯერ იყო ღია კოსმოსში, აქედან ორჯერ მთვარის ზედაპირზე გაისეირნა.

პოლიტიკურ მეთვალყურეთა აზრით, ლათინურ ამერიკაში მატულობს ტერორისტული აქტები. გუშინ გვატემალაში პოლიტიკურ ნიადაგზე კიდევ მოკლეს ცამეტი კაცი. შარშან აქ მოკლეს 1376 ადამიანი, ბევრი უგზო-უკვლოდ არის დაკარგული.

სომხეთში იქმნება სეისმური თავდაცვის ეროვნული სამსახური. მისი ამოცანებია: მიწისძვრის პროგნოზირება და ექსტრემალურ ვითარებაში მოქმედება. ახალი სამსახური გააერთიანებს ადრე დამოუკიდებლად მოქმედ ორგანიზაციებს.

8 სექტემბერს მოეწყობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები. ახლანდელი პრეზიდენტის აიაზ მუთალიბოვის ერთ-ერთი კონკურენტი იქნება 45 წლის ფილოლოგი არაბისტი ზართუშთ ალი-ზადე. იგი აზერბაიჯანის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერია. ზართუშ ალი-ზადე სახალხო ფრონტის ოპოზიციური მოძრაობის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორია.

პრეზიდენტმა აიაზ მუთალიბოვმა მიმართა შეერთებულ შტატებში, თურქეთში, გერმანიაში, ინგლისში და სხვა ქვეყნებში მცხოვრებ თანამემამულეებს. მან აღნიშნა, რომ კიდევ უფრო უნდა განვითარდეს არა მარტო კულტურული, არამედ ეკონომიკური ურთიერთობა და ტურიზმი. გეოგრაფიული საზღვრები არ უნდა იყოს დაბრკოლება. ზნეობრივი თავისუფლებისა და პატრიოტიზმის გზაზე, დასძინა პრეზიდენტმა.

ლონდონში გამართულ სხდომაზე ისრაელის მთავრობამ ხმების დიდი უმრავლესობით მხარი დაუჭირა პრემიერ-მინისტრის იცხაკ შამირის გადაწყვეტილებას მონაწილეობა მიიღონ ახლო აღმოსავლეთის საკითხებზე საზავო კონფერენციაში, რომელიც ამა წლის ოქტომბერში უნდა გაიხსნას. ისრაელი დათანხმდა კონფერენციაში მონაწილეობას იმ პირობით, თუ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი მოახერხებს თელავივისათვის მისაღები თვალსაზრისით გადაჭრას პალესტინის წარმომადგენლობის საკითხი.

გამოძიება გრძელდება

ინდური გაზეთის „ჰინდუს" ცნობით, სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რაჯივ განდის მკვლელობა ჩაიდინა „ტამილ ილამის განთავისუფლების ვეფხვების" ორგანიზაციამ. ამას მოწმობს ამ ორგანიზაციის რამდენიმე დაპატიმრებული წევრის დაკითხვის ოქმები. მკვლელობის უშუალო ორგანიზატორი და შემსრულებელი შივასარანი, რომელსაც ჟურნალისტებმა „ცალთვალა ჯეკი" შეარქვეს, იმალება. მასთან ერთად იმალება ვინმე სუბჰა, რომელიც „ცოცხალი ბომბის", თხანუს დუბლიორი იყო. ინდოეთის ტამილნადის შტატში ინტენსიურად ეძებენ ამ ორ პიროვნებას. მათ დამჭერს ერთი მილიონი რუპია დაუწესეს ჯილდოდ, ხელშემწყობი ინფორმაციის მიმწოდებელს კი 500 ათასი რუპია.

ჟურნალი „ინდია თუდეის" აზრით, რაჯივ განდის მკვლელობის გეგმა შემუშავდა ჯერ კიდევ 1990 წლის ოქტომბერში. ეს მოხდა „ვეფხვების" შტაბ-ბინაში შრი-ლანკის ჯაფნის ნახევარკუნძულზე „ვეფხვების" ლიდერის ველუპილაი პრაბჰაკარანის უშუალო ხელმძღვანელობით. რაჯივ განდის მკვლელობის მოტივი კი „ვეფხვებს" ჰქონდათ, რადგან ისინი შრი-ლანკაში დამოუკიდებელი ტამილთა სახელმწიფოს შექმნისათვის იბრძვიან, ინდოეთი კი ერთიანი შრი-ლანკის მომხრეა.



თავის დროზე კუნძულზე რაჯივ განდიმ ინდოეთის საექსპედიციო კორპუსი გაგზავნა, რომელსაც ათიათასობით ადამიანი ემსხვერპლა. კუნძულზე სამი წლის ყოფნის შემდეგ ინდოეთის ჯარები უკან გაიყვანეს. ახლა „ვეფხვები" შიშობდნენ, რომ ინდოეთის ხელისუფლების სათავეში რაჯივ განდის ხელმეორედ მოსვლის შემთხვევაში კუნძულზე კვლავ გადასხამდნენ ინდოეთის ჯარებს.

ვარაუდობენ, რომ შეთქმულებაში მონაწილეობდა თორმეტი კაცი. ორი მათგანი — „კამიკაძე" და ფოტოგრაფი ჰარი ბაბუ აფეთქების დროს დაიღუპნენ. სულ დაიღუპა ექვსი კაცი. ერთმა დაპატიმრებულმა საიდუმლო ვითარებაში თავი ჩამოიხრჩო.

გამოძიების ხელმძღვანელის კარტიკეიანის აზრით, საიდუმლო მკვლელობისთვის ფარდის საბოლოოდ ახდამდე დიდი მუშაობაა ჩასატარებელი.

●

სურათზე: „ტამილ ილამის განთავისუფლების ვეფხვები" თავიანთ ერთ-ერთ ბაზაში ვარჯიშის დროს.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-სამსახურის ცნობა

მოსკოვში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბატონი გ. ხოშტარია.

იქ ყოფნის დროს გ. ხოშტარია შეხვდა ბატონ ბ. ელცინის მრჩეველს ილიუშინს და რსფსრ უზენაესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს ლუკინს. გაიმართა ორმხრივი კონსტრუქციული საუბარი ორი რესპუბლიკის მომავალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობაზე, რესპუბლიკებში არსებულ პრობლემურ საკითხებზე. საუბრისას გადაწყდა შეიქმნას უახლოეს დროში მუშა ჯგუფები, რომლებიც მოამზადებენ ორმხრივ ხელშეკრულებას რუსეთ-საქართველოს თანამშრომლობისა და პოლიტიკური ურთიერთობის საკითხებზე.

მოსკოვში გაიმართა ბატონ გ. ხოშტარიას შეხვედრა ამერიკის თეთრი სახლის პრეს-მდივანთან მ. ფიცუოტერთან. საუბრისას ფართოდ იქნა განხილული საქართველოს რესპუბლიკის დღევანდელი პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, მისი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, აგრეთვე ცენტრისა და რესპუბლიკების ურთიერთობათა სხვა პრობლემური საკითხები. საუბრისას გამოიკვეთა დადებითი პოზიცია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ბატონ ზ. გამსახურდიას მომავალი ვიზიტის შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მოსკოვში ყოფნისას ბატონი გ. ხოშტარია მიწვეული იყო ეგვიპტის საელჩოში ამ ქვეყნის ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით. ეგვიპტის ელჩი საპასუხო ვიზიტით ეწვია ბატონ მინისტრს საქართველოს წარმომადგენლობაში, სადაც გაიმართა გულთბილი შეხვედრა და საუბარი ორ ქვეყანას შორის მომავალი ურთიერთობის განვითარების შესახებ. ბატონი გ. ხოშტარია მოსკოვში ეწვია პოლონეთის ელჩს, რომელთანაც საინტერესო დისკუსია ჰქონდა საქართველოში დღეს მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების შესახებ. გამოითქვა ორმხრივი კონტაქტების განვითარების სურვილი. ბატონ მინისტრს მოსკოვში შეხვედრა ჰქონდა აგრეთვე ცნობილ სამართალდამცველთან, ყოფილ პოლიტპატიმართან, რუსეთის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარესთან სერგეი კოვალიოვთან და დემოკრატიული რუსეთის პარტიის წარმომადგენელთან, პროფესორ იური აფანასიევთან. შეხვედრების დროს განიხილეს საქართველოსა და რუსეთში დღეს არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, დაისახა მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები. საუბარი აგრეთვე ეხებოდა საბჭოთა კავშირში ადამიანის უფლებათა შეზღუდვას და მასთან ერთობლივი ბრძოლის გზებს.

აძლიერებენ უსაფრთხოების ღონისძიებებს

პოლიციის გაძლიერებული ჯგუფები იცავენ ამ დღეებში ყველა ხიდს ფილიპინების დედაქალაქში. განსაკუთრებული ღონისძიებანი განხორციელდა მას შემდეგ, რაც კვირის დამდეგს თავიდან აიცილეს მანილის მდინარე პასიგზე გადებული ერთ-ერთი დიდი ხიდის აფეთქება. პოლიციელთა სიფხიზლის წყალობით დროზე აღმოაჩინეს მძლავრი დინამიტი.

უშიშროების ორგანოები მანილაში დივერსიის ცდას უკავშირებენ ამ ბოლო ხანს მემარჯვენე ძალების საქმიანობის საერთო გააქტიურებას.

მაგალითად, გასულ კვირას პრეზიდენტ კორასონ აკინოს წინააღმდეგ 1989 წლის დეკემბერში მეამბოხეთა მიერ მოწყობილი სამხედრო პუტჩის ხუთმა მოთავემ სცადა გაქცეულიყო კემპ-აგინალდოს სამხედრო ბანაკის საპატიმროდან, სადაც, კერძოდ, განლაგებულია ფილიპინების შეიარაღებული ძალების შტაბ-ბინა. ყოფილმა ბრიგადის გენერალმა აბენინამ და პოდპოლკოვნიკმა დიბიტმა გადახერხეს გისოსი და სცადეს გაქცევა, მაგრამ ისინი დააკავეს. მათთან ერთად დაიჭირეს პოდპოლკოვნიკი ალექსანდრე ნობლე, მინდანაოს კუნძულზე სამხედრო ამბოხების ორგანიზატორი.

მაგრამ ერთ-ერთმა შეთქმულმა — კაპიტანმა საბანამ მოახერხა მიმალვა. ვარაუდობენ, რომ კემპ-აგინალდოში მეამბოხეთა მესვეურებს ჰყავდათ თანამზრახველები მემარჯვენეების მომხრე სამხედროთა შორის, რომლებმაც სცადეს გაეთავისუფლებინათ პუტჩისტები.

ნიკოლოზ შულგა:

„უკრაინისა და საქართველოს პარლამენტებს მრავალი საერთო ინტერესი აქვთ..."

— ამ დღეებში აღინიშნებოდა უკრაინის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ დეკლარაციის მიღების პირველი წლისთავი. როგორ იზეიმეთ იგი რესპუბლიკაში? რა უნდა გაკეთდეს დეკლარაციისათვის რეალური შინაარსის მისანიჭებლად?

საქინფორმის კორესპონდენტის ზურაბ გრძელიშვილის ამ კითხვებს უპასუხებს უკრაინის უზენაესი საბჭოს სახელმწიფო სუვერენიტეტის, რესპუბლიკათშორისი და ეროვნებათშორისი ურთიერთობის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნიკოლოზ შულგა.

— 16 ივლისს უკრაინა პირველად აღნიშნავდა დამოუკიდებლობის დღეს. ეს არის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ დეკლარაციის მიღების დღე. დღესასწაულს, რომელმაც საზეიმო ვითარებაში ჩაიარა, უძღვოდა შრომითი კოლექტივების კრებები, სხვადასხვა დონის საბჭოების სხდომები. კიევში, კულტურის სასახლე „უკრაინაში" გამართულ საზეიმო სხდომაზე მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ლეონიდ კრავჩუკმა.

წელიწადი ცხოვრების დიდი პერიოდი არ არის, და, რა თქმა უნდა, ძნელია ვილაპარაკოთ რაიმე ძირეულ ცვლილებებზე. მაგრამ ამავე დროს, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ დროის განმავლობაში მოხდა ისეთი მოვლენები, რომლებიც უკრაინელი ხალხის ისტორიაში შევა. აქტიურად მუშაობდა რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, იხვეწებოდა დეპუტატთა საქმიანობის სისტემა, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკურ ძალას წარმოადგენენ. ეს ყოველივე შეუფერხებლად არ მიმდინარეობდა, რაც ცალკეულ მომენტებში ძალზე რთულ სიტუაციას ქმნიდა რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. და მხოლოდ სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენლების, უზენაესი საბჭოს ხელმძღვანელობის თავშეკავებულობამ, კეთილგონიერებამ არ დაუშვა ის, რომ ცალკეული წინააღმდეგობა და პოლიტიკური დისკუსიები გადაზრდილიყო ინცინდენტებში, რომლებსაც თავიანთი შედეგებით შეიძლება შეტაკებამდე მივეყვანეთ.

ჩვენი დეკლარაციის არსებობის განმავლობაში მიღებულია კანონთა კომპლექსი, რაც გახდა მისი დებულებების თანამიმდევრული განხორციელება, ისინი შეეხნენ საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროს. უწინარეს ყოვლისა — სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროებს. მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის კონცეფციის მიღება. დარწმუნებული ვარ, რომ ეს იქნება დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელიც დააკმაყოფილებს სამართლებრივი სახელმწიფოს ყველა მოთხოვნას. მის პროექტს განიხილავს უკრაინის უზენაესი საბჭოს მეოთხე სესია, რომელიც სექტემბერში გაიხსნება. და ამის შემდეგ იგი გამოქვეყნდება სახალხო განხილვისათვის.

მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა გახდა აგრეთვე კანონთა პაკეტებისა და ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის შესწორებების მიღება, რომლებიც უკავშირდება რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტის შემოღებას, კანონს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, ამ და სხვა საკანონმდებლო აქტებმა კონკრეტული შინაარსი შესძინეს დეკლარაციის დებულებას სწორედ სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ, სახელმწიფოს მშენებლობის დარგში.

მეორე მიმართულებაა იმ კანონების მიღება, რომლებიც დაკავშირებულია, თუ შეიძლება ასე ითქვას, უკრაინის ეკონომიკური სუვერენიტეტის ხორცშესხმასთან. ამასთან დაკავშირებით დავასახელებ კანონს რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის შესახებ, კანონებს საწარმოების, მეწარმეობის, გადასახადების შესახებ. დიდი მნიშვნელობა აქვთ აგრეთვე იმ კანონებს, რომლებიც ეხება საფინანსო, საინვესტიციო პოლიტიკას. მათ შორის გამოვყოფდი კიდევ ერთ ძალზე მნიშვნელოვან კანონს — უკრაინის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ, რომელიც დიდ პერსპექტივებს სახავს საერთაშორისო ვაჭრობაში, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მისი მონაწილეობისათვის.

მესამე მიმართულებაა კანონთშემოქმედება სოციალური სფეროს შესახებ. კერძოდ, მოსახლეობის დასაქმების შესახებ, მთავრობის მიერ შემოთავაზებულია კანონთა პაკეტი, რომლებმაც უნდა დაიცვან მომხმარებელთა, მშრომელთა ფართო მასების უფლებები. კიდევ ერთი მიმართულებაა სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული კანონების შემუშავება. მათ განეკუთვნება, მაგალითად, კანონი სოფლისა და აგროსამრეწველო კომპლექსის პრიორიტეტული განვითარების შესახებ. სესიამ არა მარტო მიიღო იგი, არამედ მოასწრო კიდეც, მოესმინა მთავრობის ინფორმაცია ამ კანონის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

ხალხის სულიერი ცხოვრების საკითხებიც ჩვენი ყურადღების ცენტრში იყო. კერძოდ, მივიღეთ კანონი სახალხო განათლების შესახებ.

რაც შეეხება თქვენს კითხვას სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ დეკლარაციისათვის რეალური შინაარსის მინიჭების მიზნით გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯების თაობაზე, აქ პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: უნდა წავიწიოთ წინ მიზანდასახულად, თანამიმდევრულად, არ არის საჭირო ნახტომის გაკეთება, მოვლენათა გასწრება. და მაშინ მართლა შეიძლება მივაღწიოთ იმ ყოველივეს, რაც ამ დოკუმენტით არის გამოცხადებული.

— ბატონო ნიკოლოზ, უკრაინის პარლამენტმა 1991 წლის 1 დეკემბრისათვის დანიშნა რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები. თქვენი დამოკიდებულება მომავალი მოვლენისადმი.

— ჩემი დამოკიდებულება ნორმალური, სამუშაოა. მე, როგორც საკონსტიტუციო კომისიის, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა მხარი დავუჭირე პრეზიდენტის პოსტის შექმნის იდეას. ახლანდელ პირობებში, როცა საჭიროა აღმასრულებელი ხელისუფლების განმტკიცება, ამას თვით ცხოვრება გვიკარნახებს. მინდა აღვნიშნო კიდევ ერთი თავისებურება. პრეზიდენტობის საკითხს განვიხილავდით მაშინ, როცა უკვე გვქონდა პარლამენტების, მთელი ხალხის მიერ პრეზიდენტთა არჩევის მაგალითები. საკმაოდ მწვავე კამათი წარმოიქმნა, და უზენაესმა საბჭომ საბოლოოდ გამოიტანა დასკვნა, რომ ახლანდელ პირობებში სწორი იქნება, თუ პრეზიდენტს უკრაინის მთელი ხალხი აირჩევს.

ჰოდა, ამ საკითხზე ხალხის აზრის ფართო გამოხატვა შესაძლებლობას მოგვცემს ვიყოთ დარწმუნებული, რომ პრეზიდენტი შეძლებს დარაზმოს მთელი პოლიტიკური ძალები, ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოების ყველა სოციალური ფენა. და, მაშასადამე, პრეზიდენტობა მოგვცემს შესაძლებლობას უფრო სწრაფად დავაღწიოთ თავი იმ რთულ სიტუაციას, რომელშიც იმყოფება უკრაინა, თუმცა, ისე როგორც სხვა რესპუბლიკები.

— უკრაინის უზენაესმა საბჭომ მიმდინარე წლის შემოდგომისათვის გადადო სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტის განხილვა. თქვენი აზრი ამ დოკუმენტის თაობაზე, მიზანშეწონილია თუ არა მისი ხელმოწერა?

— რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მართლაც შემოდგომისათვის გადადო სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტის განხილვა. ამის წინ იგი განიხილეს კომისიებში. თუმცა, მთლად საბოლოო ვარიანტი არა, მაგრამ ის ვარიანტები, რომლებიც გამოქვეყნდა. პარლამენტმა, რომელიც მოქმედებს თავისი ამომრჩევლების განაწესით, დაავალა მინისტრთა კაბინეტსა და მეცნიერებათა აკადემიას მოამზადონ დასკვნები ამ დოკუმენტის შესახებ. შეიქმნა უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის შესაბამისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც განაზოგადებს მასალებს. და სექტემბერში რესპუბლიკის უზენაესი საბჭო განაგრძობს სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტის განხილვას.

— როგორ აფასებთ რესპუბლიკაში ამჟამად შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სიტუაციას, უკრაინის ხალხის ზნეობრივ-სულიერი აღორძინების გზაზე საზოგადოების კონსოლიდაციის შესაძლებლობას?

— ძალზე რთული ამოცანაა რესპუბლიკაში ამჟამად შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის შეფასება, რადგან მიმდინარეობს სრულიად განსხვავებული, სხვადასხვა მიმართულების პროცესები. ამ ყოველივეს ასე განვაზოგადებდი: პროცესთა ნაწილი მომწიფდა და ეს თავს იჩენს ღია ფორმით. ზოგიერთი კი ჯერ კიდევ მომწიფების სტადიაშია.

ამავე დროს, ჩინებულად მესმის, თუ რაოდენ რთული პრობლემები დგას რესპუბლიკის წინაშე. ეს არის, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის პრობლემები. არის აგრეთვე მუშათა მოძრაობასთან დაკავშირებული პრობლემები. ჩვენში მძლავრია მეშახტეთა მოძრაობა, მოქმედებენ საგაფიცვო კომიტეტები. ამ ძალამ უკვე არაერთხელ იჩინა თავი გარდაქმნის წლებში. არსებობს აგრეთვე კონფესიათაშორისი პრობლემები, განსაკუთრებით უკრაინის დასავლეთ ოლქებში.

გადასაჭრელია აგრეთვე ეროვნული ურთიერთობის საკითხები.

მინდა უბრალოდ შევახსენო ქართველ მკითხველს, რომ ჩვენს რესპუბლიკაში 37 მილიონი უკრაინელის გარდა ცხოვრობს თითქმის 12 მილიონი რუსი, ნახევარი მილიონი ებრაელი, 440 ათასი ბელორუსი, თითქმის 600 ათასი მოლდაველი და რუმინელი. და კიდევ, 100 ათასი ბერძენი, 170 ათასი უნგრელი. შემიძლია განვაგრძო დიდი ეთნიკური ჯგუფების ჩამოთვლა: 220 ათასი პოლონელი, 230 ათასი ბულგარელი და ა. შ. განვლილ წლებში ეროვნებათშორის ურთიერთობაში მრავალი პრობლემა დაგროვდა. უამრავი ნაკლია განათლების, მშობლიური ენის, კულტურის განვითარების დარგში. და განსაკუთრებული პრობლემაა 1944 წელს დეპორტირებულ ყირიმელ თათართა დაბრუნების პრობლემა. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ყირიმში დაბრუნდა 100 ათასზე მეტი კაცი. შესანიშნავად გვესმის, რომ მათთვის ჯერ კიდევ არ არის შექმნილი საჭირო პირობები. ეს არის როგორც ეკონომიკური, სოციალური, ისე ფინანსური პრობლემა. ვცდილობთ ეს უაღრესად რთული, [illegible] ბის ბედთან გადაჯაჭვული პრობლემა გადავჭრათ ცივილიზებულად, ყველა მხარის ინტერესების, აზრთა გათვალისწინებით.

გამოვყოფ აგრეთვე სულიერი აღორძინების პრობლემას, და უწინარეს ყოვლისა — თვით უკრაინელი ხალხისა. მივიღეთ კანონი ენების განვითარების შესახებ და ხაზს ვუსვამ, ენებისა, რამაც ყველას მისცა შესაძლებლობა თანაბარი გულითადობით მოკიდებოდა მის განხორციელებას.

ერთი სიტყვით, გვაქვს უკრაინის ხალხის ზნეობრივი და სულიერი აღორძინების გზაზე საზოგადოების კონსოლიდაციის შესაძლებლობები. მაგრამ ისინი მოითხოვენ დიდ პოლიტიკურ ნებასა და მოქმედებას — იმას, რაც უკანასკნელ ხანს არ გვყოფნის. ჩვენში უფრო მეტი პოლიტიკური განსჯა, პოლიტიკური იდეებია, ვიდრე თვით პოლიტიკური ნება, ურომლისოდაც შეუძლებელია ორგანიზებულობა, შემდგომი თანამიმდევრული პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ დეკლარაციის განხორციელების გზაზე. ამ თვალსაზრისით დიდი აქტიურობა უნდა გამოიჩინოს მინისტრთა კაბინეტმა. სამწუხაროდ, შარშან ჩვენს მთავრობას უჭირდა მუშაობა. არსებითად, იგი იყო მუდმივი რეკონსტრუქციის მდგომარეობაში, რამაც, ბუნებრივია, ვერ მოახდინა დადებითი გავლენა მისი მუშაობის შედეგებზე.

— როგორ გესახებათ უკრაინისა და საქართველოს პარლამენტების თანამშრომლობის პერსპექტივები?

— ჩვენს პარლამენტს, და, კერძოდ, სახელმწიფო სუვერენიტეტის რესპუბლიკათშორისი და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომისიას უკვე აქვს სხვა რესპუბლიკების პარლამენტებთან თანამშრომლობის გამოცდილება, რუსეთის ფედერაციასთან, ბელორუსიასთან, ყაზახეთთან და ყირგიზეთთან რესპუბლიკათშორის, საპარლამენტთაშორისო დონეზე დავდეთ თანამშრომლობის ხელშეკრულებები. ასეთ ხელშეკრულებებს დადებითი შედეგები მოაქვს როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. თუმცა, სწორედ ეკონომიკის დარგში ვერ გვიჩვენეს მათ ბოლომდე თავიანთი ძალა. მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ის პოტენციალი, რომელიც ჩადებულია ხელშეკრულებებში, გამოვლინდება.

ასე რომ, ამ პრაქტიკას სიამოვნებით განვაგრძობთ მომავალშიც. ჩვენ მრავალი საერთო ინტერესი გვაქვს იმისათვის, რომ ვითანამშრომლოთ საქართველოს პარლამენტთან. საჭიროა მხოლოდ გამოვიჩინოთ მეტი ურთიერთსურვილი, შევხვდეთ და განვიხილოთ ის საკითხები, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს, დავსახოთ საპარლამენტთაშორისო კავშირურთიერთობის განხორციელების თანამიმდევრული პროგრამა.

[illegible], [illegible] პერსპექტივა [illegible] კონტაქტების განვითარებისათვის. [illegible], რომ რესპუბლიკებს შორის ურთიერთობის დასაბამი ეძლევა არა დღეს, არამედ მას დიდი ხნის ისტორია აქვს. სულიერ კავშირურთიერთობაზე თუ ვილაპარაკებთ, აქ ბევრი რამ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და უნდა შევინარჩუნოთ ეს სულიერი კავშირურთიერთობა. იგივე ეხება აგრეთვე თანამშრომლობას ეკონომიკის სფეროში. რა თქმა უნდა, დღეს ახალი პირობებია, რომლებიც მოითხოვენ ახალ პრინციპებსა და მიდგომას ურთიერთობაში. მაგრამ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ისინი ჩვენთვის ურთიერთხელსაყრელია, ასე რომ, განვითარდება. და მე ეს მწამს.

საქინფორმი

შიდა ქართლი

ბადრაგის თანხლებით საკუთარ მამულში

თამარაშენი, აჩაბეთი, ქურთა, კეხვი... შიდა ქართლის ეს მშვენიერი სოფლები ტერიტორიულად ცხინვალსა და ჯავას შორის მდებარეობს და აქაურმა ხალხმა საკუთარ თავზე გამოსცადა სეპარატისტი ოსების თარეში და სიავე. არაერთი ღირსეული ვაჟკაცი დაკარგა და დატირა, მაგრამ სულით არ დაცემულა. ქედმამძლე ხარივით დიდი აღმოჩნდა მათი მოთმინება და დღესაც ვაჟკაცურად უხვდებიან მტერს, ვაჟკაცურად იბრძვიან საქართველოს სრული დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის.

სოფელ ქურთაში, წმინდა გიორგის ეკლესიის გვერდით, ხანდაზმული შალვა ბასიშვილის ბაღის კართან ახალგაზრდა ქალებს მოუყრიათ თავი. იქვე ჭურჭელი აწყვია რიგში, წვრილი მილიდან წყარო ისე მოწანწკარებს, ძლივს ივსება ჭურჭელი. თავად ბატონი შალვა გარდასულ დღეებზე უამბობს ახალგაზრდებს. იგი ხომ კომუნისტური რეჟიმის მსხვერპლია, საკუთარ თავზე გამოსცადა გადასახლება და ფიზიკური დამცირება. იგი შალვა ნუცუბიძის, კორნელი კეკელიძის, სიმონ ყაუხჩიშვილის, მიხეილ ზანდუკელის, ვახტანგ კოტეტიშვილის, აკაკი შანიძის ღირსეული ნამოწაფარია უნივერსიტეტში. სიამაყით იგონებს იმ წლებს, როცა იმედით შეჰყურებდა მომავალს და შემდეგ როგორ მოუსპეს ერთ მშვენიერ დღეს ეს მომავალი „ახალი საზოგადოების მშენებლებმა". დღეს გაფაციცებით ადევნებს თვალს ჩვენში მიმდინარე პროცესებს, სურს, უშეცდომო არჩევანი გააკეთოს სოფლის მოსახლეობამაც, მით უფრო ახლა, როცა სადაცაა დაიწყება სოფლის საკრებულოს არჩევნები, გრძნობს, რომ პარტიული მაფია ზოგან ჯერ ისევ ცოცხალია და ჩუმად ებრძვის კიდეც ახალ ხელისუფლებას.

ბატონ შალვას ნაუბარს იმიტომ ვიხსენებთ, რომ მართლაც ჭეშმარიტი მამულიშვილი, საქმის მკეთებელი კაცი უნდა ჩაუდგეს სოფლის სათავეში, თორემ იმ უამრავ პრობლემას უფხო კაცი ვერ გაუძლებს. სოფელს რამდენი ხანია არა აქვს წყალი, დაზიანებულია და უყურადღებოდაა მიტოვებული კეხვის წყალსადენი და საჭიროა მისი ამოქმედება, მოძველებულია წყალგაყვანილობის სისტემაც. ეს ყოველივე ეპიდემიის საშიშროებას ქმნის, რაც ამ მხარის ისედაც განაწამებ მოსახლეობას სრულ სულიერ დაცემამდე მიიყვანს.

სოფელ ქურთაში მიწისძვრებმა დაანგრია და დააზიანა საცხოვრებელი სახლები. სოფელში ორიოდე სახლის გარდა, დანარჩენი ან შესაკეთებელია, ან — მთლიანად ასადგენი. უკვე მიმდინარეობს საშენი მასალების შემოზიდვა, იწყება სამუშაოები. სამშენებლო პოლიგონს წაიგავს კეხვი და ქურთა. ჩვენ შევხვდით და ვესაუბრეთ „საქსოფლმშენის" № 3 სამშენებლო ტრესტის მმართველს ბატონ ვახტანგ ყანჩაველს. მან გვითხრა, რომ სოფელ ქვემო ქურთაში სულ 63 ახალი სახლია ასაშენებელი, ასადგენია — 182, შესაკეთებელია — 180. რესპუბლიკის მთავრობამ გორის სამშენებლო კომპლექს „ქართლს" 15 მილიონი მანეთი გამოუყო. კომპლექსი ძირითადად გორის, ქარელის, ყორნისის რაიონებს ემსახურება.

— ბატონო ვახტანგ, დაგვისახელეთ ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც ხელს გიშლით სამუშაოთა დაწყებაში, — ვთხოვეთ ტრესტის მმართველს.

მან გვითხრა, რომ პრობლემები მართლაც ბევრია, მით უმეტეს სამაჩაბლოში, მაგრამ, რომ უყურებს ადგილობრივი მოსახლეობის შემართებას და მონდომებას, იმედს გამოთქვამს, რომ ყველაფერი ზამთრამდე დასრულდება. ესეც კია, უბენზინობის გამო გაძნელებულია მასალების ტრანსპორტირება. აი, ახლაც გორში გვიწყვია საშენი მასალები და ყოვნდება შემოტანაო, გულისტკივილით ამბობს. თანაც უახლოეს დღეებში მეტი რაოდენობის მასალების შემოზიდვა გახდება საჭირო.

— როგორც ვიცით, ცემენტი აუცილებელი მასალაა. როგორ არის მომარაგება ამ მხრივ?

აღმოჩნდა, რომ სამაჩაბლოელთა სახლების ასაშენებლად ცემენტს ძირითადად გზავნიან კასპისა და რუსთავის ქარხნები. ჩვენი იქ ყოფნის დროს სოფელში უკვე შემოზიდული იყო 67 ტონა ცემენტი, ეზიდებოდნენ საკედლე ბლოკს და სხვა საშენ მასალებს... სოფელში საქმიანად ტრიალებდნენ, რჩევას იძლეოდნენ ხაშურის № 20 მოძრავ-მექანიზებული კოლონის უფროსი თემურ მელიქიძე, გორის № 10 მოძრავ მექანიზებული კოლონის უფროსი თამაზ კაპანაძე და კასპის № 76 მოძრავ-მექანიზებული კოლონის უფროსი მურთაზ ყანჩაველი. აქვე ბუყნენ გორის მექანიზაციის სამმართველოს უფროსი როინ მეზვრიშვილი და № 23 მოძრავ-მექანიზებული კოლონის უფროსი გოჩა ნადირაძე. ისინი იმედს იძლევიან, რომ სექტემბრისთვის დაამთავრებენ სოფლის სკოლას, საავადმყოფოს...

დავინტერესდით მუშახელის მხრივ როგორ იყო საქმე. თურმე, ჯერჯერობით მხოლოდ 62 კაცი ყოფილა შემოყვანილი, რომელთა რიცხვი 250-300 მიაღწევს.

საგანგებოდ უნდა ვთქვათ, რომ სამაჩაბლოდან, მათ შორის ქალაქ ცხინვალიდან გასული მამაკაცები, რომლებიც ჭეშმარიტი მამულიშვილები არიან, უნდა დაუბრუნდნენ და მონაწილეობა მიიღონ აღდგენით სამუშაოებში. დღეს მათი ხელი ძალზე სჭირდება აქაურობას. მათი კვების და საცხოვრებელი ადგილის საკითხებზე თვითონ სახელმწიფო ზრუნავს. ანაზღაურებაც კარგი ექნებათ.

ჩვენ ისიც გვითხრეს, რომ თუ ვერ მოხერხდა და ზამთრის დადგომამდე ვერ მოასწრეს რომელიმე მოსახლის ბინით უზრუნველყოფა, მაშინ ტრესტს რეზერვში აქვს ასამდე კომფორტული საცხოვრებელი ვაგონი და დროებით უნდა დაუთმონ, თუმცა იმედს იძლევიან, რომ ყველა ოჯახი დაკმაყოფილებული იქნება საკუთარი სახლით.

უკვე დაიწყეს არსენ და პავლე ბასიშვილების და ნიკოლოზ კახნიაშვილის სახლების მშენებლობა.

მშენებლებისთვის გაძნელებულია ქალაქ ცხინვალის გავლა და, ქართულ სოფლებში შესვლა. გორიდან რეგულარულად დადის სპეციალური ავტობუსი, მაგრამ საშენი მასალით დატვირთულ მანქანებს ხშირად დიდი ხნით აყოვნებენ ქალაქის შემოსასვლელში. მოსალოდნელია ოსების მხრიდან რაიმე უსიამოვნო ინციდენტიც, ამიტომ ქალაქის გავლისას სამხედროები ახლავან, ისინი კი, მოგეხსენებათ, დიდად არ დაგიდევენ ქართველთა გასაჭირს.

სამაჩაბლოში დღეს ყველა შრომობს. გზადაგზა, ეზოების წინ დაშლილი შენობების ქვა-ღორღი ყრია. აუცილებელია ეს სამშენებლო ნარჩენი გონივრულად დაიყაროს ისეთ ადგილას, სადაც საჭიროა და თვალისთვისაც ულამაზოდ არ ჩანდეს, ეს უკვე სოფლის თავკაცების საქმეა.

დაძაბულებმა გამოვიარეთ ცხინვალი. ქალაქის გამოსასვლელში, გამშვებ პუნქტთან, მავთულხლართების მიღმა კი თუხთუხებდნენ საშენი მასალით დატვირთული მანქანები. მძღოლები ბადრაგს უცდიდნენ. მათ ხომ წიქარასავით ქედძლიერი, საკუთარ მამულში ბრძოლანახადი ქართული სოფლები ელიან...

ლია ჭილლაძე.

ინტერვიუ

ეროვნული სამართლებრივი მეცნიერების განვითარებისათვის

როგორც საზოგადოებრიობისათვის ცნობილია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი გაიყო ორად — ეკონომიკის ინსტიტუტად და სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტად. ამასთან დაკავშირებით საქინფორმის კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორს თამაზ შავგულიძეს.

— რა პრინციპით მოხდა ხსენებული ინსტიტუტის დაყოფა?

— სამართლის მეცნიერება მეცნიერების ერთ-ერთი დამოუკიდებელი დარგი იყო საქართველოში, მაგრამ მას თავისი დამოუკიდებელი ინსტიტუტი არ გააჩნდა. ამ მხრივ საქართველო გამონაკლისი არ ყოფილა. თუ არ ჩავთვლით უკრაინას, არც ერთ რესპუბლიკას სამართლის დამოუკიდებელი კვლევითი ინსტიტუტი არა აქვს. ეს გასაგებიცაა, ცენტრი არ იყო დაინტერესებული რესპუბლიკებში ეროვნული სამართლებრივი მეცნიერების განვითარებით. ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ რესპუბლიკებს მხოლოდ საკავშირო სამართლებრივი ინსტიტუტები მომსახურებოდნენ. მაგრამ ცხოვრება თავისი გზით მიდის. სამართლის მეცნიერება, რომელსაც დიდი ეროვნული ტრადიციები აქვს საქართველოში, ვითარდებოდა. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ივანე ჯავახიშვილს, ლუარსაბ ანდრონიკაშვილს, თინათინ წერეთელს და სხვა გამოჩენილ ქართველ მეცნიერებს. სწორედ ეროვნული სამართლებრივი მეცნიერების, ქართული სამართლებრივი აზროვნების განვითარების აუცილებლობამ და მაღალკვალიფიციურმა სამართლებრივი კადრების აღზრდამ შესაძლებელი გახადა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შექმნილიყო სახელმწიფოსა და სამართლის დამოუკიდებელი კვლევითი ინსტიტუტი. იგი მოვალეა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის პირობებში, აქტიურად მონაწილეობდეს ახალი კანონმდებლობის შემუშავების, მოსახლეობის მართლშეგნების ამაღლების, მართლწესრიგის განმტკიცების, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის და მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში.

— როგორია თქვენი ინსტიტუტის სტრუქტურა?

— ინსტიტუტში ექვსი ძირითადი განყოფილებაა: სისხლის სამართალი და პროცესი, სამოქალაქო სამართალი, კრიმინოლოგია, მართვის სამართლებრივი პრობლემები, სახელმწიფო და საერთაშორისო სამართალი, ქართული სამართლის ისტორია.

— სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, ისევე როგორც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, შეუძლებელია უცხოური გამოცდილების გარეშე. გაქვთ თუ არა კონტაქტები უცხოელ კოლეგებთან?

— ვერც ერთი მეცნიერება ვერ განვითარდება ფართო მეცნიერული კონტაქტების გარეშე — მით უფრო, ჩვენი. ასეთი კონტაქტები გვაქვს ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის, იაპონიის, თურქეთის, შვეციის, უნგრეთის, პოლონეთის, ბულგარეთის და სხვა ქვეყნების იურიდიულ ცენტრებთან და სწავლულ იურისტებთან. ეს კონტაქტები გამოიხატება ერთობლივი სამეცნიერო კოლოკვიუმების, კონფერენციებისა და გამოკვლევების ჩატარებაში, აგრეთვე მეცნიერ სტაჟიორთა გაცვლაში. თბილისში სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ბაზაზე მოეწყო რამდენიმე კოლოკვიუმი ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის, იაპონიისა და თურქეთის მეცნიერ იურისტებთან. ქართველი მეცნიერები კითხულობენ ლექციებს უცხოეთში. ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში სამეცნიერო-პრაქტიკულ სტაჟირებას გადის ინსტიტუტის ორი მეცნიერ-თანამშრომელი. საქართველოს დამოუკიდებლობის პირობებში კონტაქტები უცხოელ იურისტებთან გაფართოვდება.

— რა სტადიაშია დღეს საქართველოში სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა?

— ამჟამად იგი მხოლოდ დასაწყის სტადიაშია. გადადგმულია სერიოზული ნაბიჯები ჭეშმარიტად სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისაკენ. მაგრამ, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა შეუძლებელია ერთი ხელის დაკვრით, თუ გინდ კარგი კანონების მიღებითაც კი ამ ისტორიულ პროცესს დრო სჭირდება. განსაკუთრებით იმ ქვეყნისათვის, რომელიც ახლახან გამოვიდა ტოტალიტარული რეჟიმიდან.

— ამჟამად საქართველოში მოქმედებს როგორც რესპუბლიკის კანონმდებლობა, ისევე საკავშირო. საინტერესოა, რომელი კანონებით სარგებლობს მოქალაქე?

— საქართველო, ფაქტობრივად, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაშია და, ბუნებრივია, ჩვენს ტერიტორიაზე მოქმედებს მისი კანონები. მაგრამ, თუ საბჭოთა კავშირის კანონი ეწინააღმდეგება საქართველოს ინტერესებს, მაშინ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აჩერებს ასეთი კანონის მოქმედებას და მხოლოდ რესპუბლიკის კანონი მოქმედებს. მაგრამ, საბჭოთა კავშირის კანონების უშუალო მოქმედება რესპუბლიკაში მკვეთრად არის შეზღუდული.

— ჩვენი რესპუბლიკა აქტიურად გადადის საბაზრო ეკონომიკაზე, რაც განმტკიცებულია უახლესი საკანონმდებლო აქტებით, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსში არის მთელი რიგი მუხლები, რომლებიც ითვალისწინებენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იმ საქმიანობისათვის, დღეს რომ ხელს უწყობს ჩვენი სახელმწიფო. რას გვეტყვით ამის თაობაზე?

— სისხლის სამართლის კანონმდებლობა საქართველოში მკაცრად მოძველებულია. იგი ხშირად არ შეესაბამება არათუ საბაზრო ეკონომიკის პირობებზე გადასვლას, არამედ დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნულ სულს და მისი განვითარების პერსპექტივებს. იგივე შეიძლება ითქვას სამოქალაქო, შრომის, მიწის სამართლის და სხვა კანონმდებლობებზე. მიღებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება, რომელიც ავალებს ქართველ მეცნიერ-იურისტებს, შექმნან საქართველოს რესპუბლიკის ახალი კოდექსები. ინსტიტუტი უკვე შეუდგა საქართველოს სისხლის სამართლის ახალ კოდექსზე მუშაობას. სექტემბრისთვის გადაწყვეტილი გვაქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად შევქმნათ დროებითი შემოქმედებითი კოლექტივები, რომლებიც იმუშავებენ სამოქალაქო სამართლის, საპროცესო და სხვა კოდექსების შექმნაზე.

— დღესდღეობით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაფინანსება ხდება ცენტრიდან, რომელმაც მომავალში შეიძლება სრულიად შეწყვიტოს ეს დაფინანსება. როგორ ფიქრობთ, მოახდენს ეს გავლენას თქვენს ინსტიტუტზე და, შესაბამისად, ხომ არ შეწყდება იურიდიული მეცნიერების ფუნდამენტური კვლევა?

— ეჭვი არ მეპარება, რომ ცენტრი შეწყვეტს მეცნიერებათა აკადემიის დაფინანსებას. ჩვენ უკვე ვემზადებით ამისათვის. ვფიქრობთ, რომ ყველა ინსტიტუტმა თვითონ უნდა გამონახოს სახსრები, რათა ირჩინოს თავი. წინააღმდეგ შემთხვევაში, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სამეცნიერო ინსტიტუტებს დახურვა მოელის. საქმე ის გახლავთ, რომ მეცნიერება უნდა სჭირდებოდეს საზოგადოებას და სახელმწიფოს, თუ მეცნიერებას მომხმარებელი არა ჰყავს, იგი უკვე მეცნიერება აღარ არის. ჭეშმარიტ მეცნიერებას კი თავისი ღირებულება, ფასი აქვს. ჩვენი ინსტიტუტი შეუდგა ფუნდამენტური ნაშრომების — ქართული სამართლის ისტორიის მრავალტომიანი ნარკვევების შექმნას და ქართული სისხლის სამართლის კურსის დამუშავებას. განა შეიძლება ვინმემ ამტკიცოს, რომ ეს ნაშრომები ფუნდამენტური გამოკვლევა არ იქნება? რასაკვირველია არა, მაგრამ ამავე დროს უეჭველია, რომ მას გამოყენებითი ხასიათიც ექნება. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ჩვენი ინსტიტუტი შეუდგა კოდექსების შემუშავებას, რის გამოც ზემდგომმა ორგანოებმა მიიღეს დადგენილება მის დაფინანსებაზე. ინსტიტუტის შემოსავლის რეალური წყარო გახდება სახელშეკრულებო თემების დამუშავება. მაგრამ ეს საკმარისი ვერ იქნება ფუნდამენტური მეცნიერების განვითარების, სამეცნიერო კადრების აღზრდისათვის. სწორედ ამიტომ, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ინსტიტუტი ჩამოყალიბდეს როგორც სამეცნიერო, სასწავლო და სამეურნეო კომპლექსი, ამის პრაქტიკულ განხორციელებას უკვე შევუდექით.

ყველაფერი ეს იმედს გვაძლევს, რომ ჩვენს ახლად შექმნილ ინსტიტუტს ხანგრძლივი სიცოცხლე უწერია.

გულიკო მარკოზაშვილი

კრიმინალური ქრონიკა

არ გათეთრდება ყორანი...

ივლისის ბოლო კვირა კრიმინოგენული თვალსაზრისით არაფრით გამოირჩეოდა წინა კვირისაგან. ოპერატიული ვითარება კვლავ დაძაბულია. მიუხედავად მილიციის ძალების მობილიზებისა, არ კლებულობს ისეთი საშიში დანაშაული, როგორიცაა მკვლელობა, ყაჩაღობა, ძარცვა.

გასულ კვირაში მოხდა 4 მკვლელობა და 11 ყაჩაღური თავდასხმა.

ვინ იცის, უკვე მერამდენედ აღვნიშნავთ შემაშფოთებელ ტენდენციას: მკვლელობათა აბსოლუტური უმეტესობა ოჯახური კონფლიქტის, ან ახლობელთა შელაპარაკების ნიადაგზე ხდება.

28 ივლისს ქარელის რაიონის სოფელ რუისში [illegible] საკუთარ შვილს გივი [illegible] სამშენებლო ბლოკი ჩაარტყა თავში და მოკლა.

30 ივლისს ღამით თბილისში წარსულში ნასამართლევმა კოოპერატივ „ბუდმის" მცველმა გოჩა ლაფერაშვილმა ხორცის საჭრელი ნაჯახი დაჰკრა თავში თავის სიდედრს ლეილა შმალაძეს, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა.

25 ივლისს დილით სეით მძევაშვილმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე რევოლვერით მოკლა თანასოფლელი თენგიზ რაზმაძე.

წლეულს რესპუბლიკაში 30-მდე მკვლელობა მოხდა ოჯახური კონფლიქტის საფუძველზე. ეს მარტო ცალკეული ოჯახების ტრაგედია როდია. დიდია მისი საზოგადოებრივი რეზონანსი. ალბათ, აუცილებელია ამ მოვლენის ღრმა, მეცნიერული შესწავლა და სათანადო რეკომენდაციების გამომუშავება.

რაც შეეხება მილიციას, პირველ რიგში მან უნდა იზრუნოს შესაძლო ტრაგედიის თავიდან აცილებისათვის, რადგან ოჯახური კონფლიქტი უცებ არ იფეთქებს ხოლმე, იგი თანდათანობით ღრმავდება და მწვავდება. მილიციის, კერძოდ, უბნის რწმუნებულის ფხიზელ თვალს არ უნდა გამოეპაროს ოჯახური კონფლიქტის მომწიფება.

ამ ბოლო ხანებში ხშირად [illegible] გამოძალვის მიზნით მო[illegible], ამასთან [illegible], რომ მილიციის განსაკუთრებული დანიშნულების [illegible] ამ საშიში დანაშაულის აღსაკვეთად. დაკავებულია გამტაცებელთა კიდევ რამდენიმე ჯგუფი. მაგრამ, სამწუხაროდ, ამგვარი დანაშაული გასულ კვირაშიც მოხდა.

25 ივლისს ქუთაისში ოთხმა დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცა № 2 ავტოპარკის გამგე დავით კიკვაძე, რომელიც 12 საათის შემდეგ დააბრუნეს. მიმდინარეობს გამოძიება.

მილიციის მუშაკებმა ამ დღეებში დააკავეს ბოროტმოქმედთა რამდენიმე ჯგუფი, რომლებიც ფულის გამოძალვის მიზნით იტაცებდნენ მოქალაქეთა ავტომანქანებს.

ბორჯომის შინაგან საქმეთა განყოფილებას განცხადებით მიმართა სოფელ ჭობისხევში მცხოვრებმა იასონ სარალიძემ იმის თაობაზე, რომ მაისში მას მოპარეს „ჟიგული" და გამოსძალეს 7 ათასი მანეთი ფული. მილიციის მუშაკებმა დაადგინეს და დააკავეს სოფელ საკირეს მცხოვრებნი ილია შაქულაშვილი და ბორჯომელი მამუკა მურჯიკნელი, რომლებმაც აღიარეს ჩადენილი დანაშაული. გამოძალული ფული ამოღებულია.

26 ივლისს ქ. თბილისის სამგორისა და ისნის შინაგან საქმეთა განყოფილებების მუშაკებმა ავტომანქანის გატაცებისა და ფულის გამოძალვის ფაქტზე დააკავეს პაატა თეთრუაშვილი, ვარლამ საჯაიანი და დავით გოგელია.

იმ ღამეს მათ გატაცებული ჰყავდათ ლალი ჩადუნელისა და გურამ მაღრაძის მსუბუქი ავტომანქანები. დაკავებისას პაატა თეთრუაშვილს აღმოაჩნდა ლალი ჩადუნელისაგან ავტომანქანის დაბრუნების მიზნით გამოძალული ფული — 7500 მანეთი.

ბოლო ხანებში საგრძნობლად იმატა სახელმწიფო ქონების ქურდობამ, რითაც ტოტალურ ეკონომიკურ ბლოკადაში მოქცეულ ჩვენს რესპუბლიკას კიდევ უფრო უმძიმდება მდგომარეობა.

26 ივლისს სადგურ გაჩიანში მილიციამ დააკავა გარდაბნის რაიონის მცხოვრებნი ზაირამ ალმამედოვი და ზაირამ იუსუბოვი, რომლებმაც რკინიგზის ვაგონიდან მოიპარეს 10 ყუთი უცხოური წარმოების შამპუნი.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკურ დანაშაულობასთან და სპეკულაციასთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა ამავე სამმართველოს ქუთაისის განყოფილების მუშაკებთან ერთად 29 ივლისს გამოავლინეს ქუთაისის ხილბოსტანვაჭრობის № 2 მაღაზიის ყოფილი გამგე ოლეგ სანიკიძე, რომელმაც ა. წ. 23 აპრილს ყალბი მინდობილობის საფუძველზე ლილოს ხილბოსტნეულის ბაზიდან გაიტანა 28.434 მანეთის 13540 კილოგრამი ხახვი. დატაცებული თანხა დაუბრუნდა სახელმწიფოს.

25 ივლისს ღამით ხუთი დაუდგენელი ბოროტმოქმედი თავს დაესხა ქ. სენაკის სამეცნიერო-საწარმოო ფირმა „ციტადელს", თოკით შეკრეს დარაჯი და გაიტაცეს 20 ათასი მანეთის ღირებულების მაღალი წნევის პოლიეთილენის ფხვნილი.

მილიციის მიერ განხორციელებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დადგენილ და დაკავებულ იქნა ყაჩაღთა ჯგუფი, რომელმაც თავდასხმა მოაწყო ფირმა „ციტადელზე". ესენი არიან სოსო სამხარაძე, გია სამხარაძე, დათო გიგიბერია, დათო ჭუბაბრია. ჯერჯერობით მიმალულია ამ ჯგუფის წევრი, ადრე ნასამართლევი სოგრატ დავითაია. დადგენილია აგრეთვე ქამაზის ტიპის ავტომანქანა, რომლითაც წაიღეს გატაცებული პროდუქცია.

24 ივლისს ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდში მილიციამ დააკავა მერაბ ჩაფიძე და ნუგზარ ძირაქიძე. მათ მშობლიური სოფლის საშუალო სკოლის შენობიდან მოიპარეს ორი ტელევიზორი. ნაქურდალი ამოღებულია.

უბედური შემთხვევისაგან არავინ არის დაზღვეული, მაგრამ გასულ კვირაში მომხდარი რამდენიმე უბედური შემთხვევა იმაზე მიანიშნებს, რომ ყველგან, კერძოდ, ელექტრომეურნეობაში არ არის დაცული უსაფრთხოების წესები.

26 ივლისს საჩხერის რაიონის სოფელ ქორეთის საძოვრების ტერიტორიაზე ნახეს ციცო ღუღუნიშვილისა და მისი ქალიშვილის — ელისო ღუღუნიშვილის გვამები, რომლებიც დაიღუპნენ მაღალი ძაბვის მავთულის შეხების შედეგად.

24 ივლისს გარდაბნის რაიონის სოფელ წინაუბანში ელექტროდენის მავთულთან შეხებით დაიღუპა ცხრა წლის ზურაბ შელიაშვილი.

21 ივლისს ტრაგედია დატრიალდა მესტიის რაიონის სოფელ დარილაში. ელექტროტრანსფორმატორის აფეთქების შედეგად მაღალი ძაბვის ენერგია გადავიდა დაბალი ძაბვის ხაზზე, რის შედეგადაც დაიღუპნენ ამავე სოფლის მცხოვრებნი გერონტი ჯაჭვლიანი, მამუკა ჩხეტიანი და გულივერ ჯაჭვლიანი.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი,
საქინფორმი.

მხატვრობა

ფერადოვანი იმპროვიზაციები

შალვა დადიანის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში ამ დღეებში გაიმართა გამოფენა სათაურით: „საქართველოს სულიერი იმპროვიზაციები". აკვარელში შესრულებული ამ ორიგინალური კომპოზიციების ავტორი იზა ნადირაძეა, პროფესიით მუსიკოსი, მაგრამ ეს უკვე მისი მეხუთე პერსონალური გამოფენაა.

ეს ნახატები 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შედეგია — მთელი არსებით შეძრულმა მუსიკოსმა ქალმა თავისი გულისთქმა და ტკივილები ფუნჯით გამოხატა და შექმნა სერია სურათებისა, რომლებშიც იმპროვიზაციულად არის გადმოცემული ვარიაციები 9 აპრილის თემაზე, თითქოსდა მირაჟულია „ოცნებაც", „ყვავილების ცრემლიც", „ცისარტყელაც", დედა-შვილობის ტკივილიანი სიყვარულით გამსჭვალული ნახატებიც. ხელოვანი ქალი განსაკუთრებით აქცევს ყურადღებას ფერთა ჰარმონიას, განწყობილებასაც ძირითადად აკვარელის ფერადოვანი გამით აღწევს. ეს მისთვის ნაცადი ხერხია — იგი, როგორც მუსიკის მასწავლებელი, ხომ სწორედ სახვითი საშუალებებით აჩვევს თავის მოსწავლეებს მუსიკის აღქმას — ფერებით ქაღალდზე გადატანას — მისი ქალიშვილი, მხატვარი და მუსიკოსი მზექალა ბერძენიშვილიც იმ ჟანრს ანვითარებს თავის შემოქმედებით და პედაგოგიურ მოღვაწეობაში.

გამოფენას დიდი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებენ თბილისელები და შთაბეჭდილებათა წიგნში ტოვებენ თავიანთ კეთილ სურვილებს.

„საქართველოს რესპუბლიკის" კორ.

• • •



სურათზე: „დედაშვილობა" (აკვარელი).
გენადი სანაიას ფოტო.

ქველმოქმედება

მიეცი მოყვასს გულის სითბო!

ათასჯერ ნათქვამს ერთხელ გაკეთებული სიკეთე სჯობსო, ამბობენ.

მადლობა ღმერთს, საქმენი სასიკეთონი მომრავლდა დღეს საქართველოში. ქველმოქმედება ბევრისთვის სულიერ მოთხოვნილებად იქცა.

რაოდენ სასიხარულოა, რომ ამ ეკონომიკურ ძნელბედობაში, გადაუწყვეტელი პოლიტიკური და სოციალური პრობლემებით დამუხტულ დღევანდელ ატმოსფეროში ქართველი ხალხი კი არ დაძაბუნდა, არამედ მონახა ძალა საქველმოქმედოდ, მოყვასისათვის ხელის გასაწოდებლად.

...იმ ქვეყანაში, სადაც „ვეფხისა და მოყმის ბალადა" დაიწერა, დღეს 1200 ობოლი და მშობლების მზრუნველობას მოკლებული ბავშვია. სად გაექცევი მათ ნაღვლიან თვალებს...

ჩვენი თეატრის თანამშრომლებმა ვიმსჯელეთ და გადავწყვიტეთ ერთ-ერთი მათგანი ჩვენი შვილობილი გამხდარიყო. სწორედ ამ მიზნით ვეწვიეთ წყნეთის ბავშვთა სახლს, გავიცანით პატარა მერაბ გელაშვილი, შვიდი წლის შავტუხა ბიჭუნა (ჩვენი თეატრიც ხომ მერაბ კოსტავას სახელს ატარებს). თვალები აუციმციმდა... ალბათ, მიხვდა ბიჭუნა, უთუოდ მიხვდა...

რის ასრულებას შევძლებთ პატარა მერაბის ნატვრის სამყაროში? — ამას, ალბათ, დრო გვიჩვენებს. ერთი რამ ცხადია — იგი ჩვენ უნდა აღვზარდოთ. სკოლის დამთავრებამდე ჩვენ ერთობლივად ვიზრუნებთ მასზე იმ კეთილშობილ ადამიანებთან ერთად, რომლებიც თავიანთი გულის სითბოს არ იშურებენ, რათა ამ სკოლის ჭერქვეშ არ მოაკლონ მათ ყურადღება და სიყვარული.

ჩვენ გავესაუბრეთ ბავშვთა სახლის დირექტორს, სიკეთით სავსე, სათნო ქალბატონს მზია კიწმარიშვილს, რომელმაც ცრემლნარევი სიხარულით მიიღო ჩვენი წინადადება. თან იქვე დასძინა, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ ბავშვები ამ სკოლის დამთავრების შემდეგ, როცა ცხოვრების გზაზე დამოუკიდებლად გასვლის დრო დაუდგებათ...

ბუნებრივია, ჩვენი ყურადღებაც განსაკუთრებით უნდა გაიზარდოს იმ ეტაპზე.

თეატრი იზრუნებს პატარა მერაბის კარგი სწავლისათვის, შრომითი დასაქმებისათვის, დაბინავებისათვის, ოჯახის შექმნისათვის, ყოველმხრივი და, უპირველესად, სულიერი აღზრდისათვის.

ერთი სიტყვით, ის ჩვენი შვილობილია! ჯერ მხოლოდ შვიდი წლის პატარა შავტუხა ბიჭი — მერაბ გელაშვილი...

მკითხველს, ბუნებრივია, გაუჩნდება აზრი: კი ბატონო, ეს ძალზე კარგია, მაგრამ ამ ერთი ბიჭუნას გახარებით დანარჩენებს ხომ არ დავწყვეტთ გულსო?

რა თქმა უნდა, ეს ასეც მოხდება, თუ ჩვენი მერაბი ერთადერთი იქნება, თუ ჩვენი ინიციატივა აქვე დამთავრდება... მაგრამ საქართველოში რა გამოლევს გულთბილ, მზრუნველ ადამიანებს! ჩვენ გვაქვს თქვენი იმედი და სხვაგვარად ნურცა ქნას ღმერთმა!

მივმართავთ სრულიად საქართველოს საწარმო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების კოლექტივებს — მხარი აგვიბით ამ კეთილშობილურ საქმეში. საქართველოში 10 ამგვარი სახლია. მათში სულ 1200 ბავშვია: განა ცოტაა ჩვენში ისეთი შრომითი ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია მათთვის მზრუნველობის გაწევა? მაშ, ჩამოვკრათ სიკეთის ზარი, გადავურჩინოთ დედა სამშობლოს 1200 ბავშვი!

იყავით მოწყალენი!
მიეცით მოყვასს სითბო გულისა!

თბილისის მერაბ კოსტავას სახელობის ლიტერატურულ-მუსიკალური ეროვნული თეატრის სახელით: ზურაბ ნინუა, ზინაიდა კვერენჩხილაძე, ლერი პაქსაშვილი გურამ სოხაძე, ბალათერ არაბული, თემურ ძეძვიშვილი, ლექსო ნიკოლაძე, გურამ ჭვანია, თენგიზ დვალი, ზურაბ ხარაბაძე, თენგიზ რამიშვილი, ლალი დალაქიშვილი, დიანა ღონღაძე, მალვინა ხარშილაძე.

სპორტი

მოკლედ

არგენტინაში შეაჯამეს საჭადრაკო ეტიუდების შესადგენად ი. მუნიოსის საერთაშორისო მემორიალის შედეგები. ოთხ წელს გრძელდებოდა ეს კონკურსი, რომელზეც წარმოდგენილი იყო 16 ქვეყნის ორმოცდაცხრა ავტორის 75 ნამუშევარი.

ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი აჩვენა თბილისელმა საერთაშორისო დიდოსტატმა დავით გურგენიძემ. მისმა ეტიუდებმა ერთბაშად სამი საპრიზო ადგილი დაიკავა — მეორე, მესამე და მეექვსე. მეხუთე საპრიზო ადგილი წილად ხვდა განსვენებული თბილისელის იოსებ კრიხელის ნამუშევარს.

მემორიალში წარმატება მოიპოვა საქართველოს დედაქალაქის კიდევ ორმა წარმომადგენელმა. მეექვსე პრიზიორი გახდა რევაზ თავარიანი, საერთაშორისო ოსტატის ვლადიმერ კანდელაკის ეტიუდებმა კი სპეციალისტთა დიდი შეფასება დაიმსახურა.

ჩვენი რესპუბლიკის ნორჩი მოჭადრაკეები ღირსეულად განაგრძობენ ქართველ მოჭადრაკე ქალთა სკოლის შესანიშნავ ტრადიციებს. ევროპის პირველ ჭაბუკთა ჩემპიონატში, რომელიც რუმინეთის ქალაქ მამაიაში გაიმართა, მათ ორი უმაღლესი ჯილდო დაიმსახურეს.

თორმეტი წლის სოფიკო ტყეშელაშვილმა ასპროცენტიანი შედეგით — 9 ქულით — თანატოლთა შორის უძლიერესის წოდება მოიპოვა. თბილისელი მაია ლომინეიშვილი კი, რომელმაც 9 შესაძლებლიდან 6,5 ქულა მოაგროვა, 14 წლის მოჭადრაკეთა შორის პირველ ადგილზე გამოვიდა.

დიდი წარმატება ხვდა წილად თბილისელ ვალერი გედევანიშვილს საერთაშორისო მარათონში, რომელიც რიგაში მოეწყო. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 900-ზე მეტი ქალი და ვაჟი სპორტსმენი. საქართველოს დედაქალაქის რბენის მოყვარულთა ასოციაციის წარმომადგენელმა მეორე ადგილი დაიკავა, 29 წამით ჩამორჩა მხოლოდ გამარჯვებულს — ბელორუსიის წარმომადგენელს ვლადიმერ კალენკოვიჩს. როგორც მეორე პრიზიორს, მას გადაეცა ფულადი პრიზი — 300 გერმანული მარკა. პირველი ადგილისთვის დაწესებული იყო 500 მარკა, მესამე ადგილისთვის — 200 მარკა.

საქინფორმი.

შემთხვევა

და კვლავ ხანძარი...

1 აგვისტოს ნაშუადღევს თბილისის სამგზავრო სადგურის შესასვლელთან ცეცხლი მოედო ბარგისა და ფოსტის გადაზიდვისათვის განკუთვნილ ვაგონებს, რომლებიც იდგნენ ჩიხში ყოფილი ნავთობბაზის ტერიტორიაზე, ეგრეთ წოდებული „მალაკნის ბაზრის" მახლობლად.

— ცეცხლმოდებული ვაგონები, — თქვა შემთხვევის ადგილზე მოსულმა ჩუღურეთის რაიონის სახანძრო დაცვის სამსახურის წარმომადგენელმა ა. შუბლაძემ, არ არის განკუთვნილი საწვავის გადასაზიდად, მაგრამ რა საოცარიც უნდა იყოს ეს, ისინი სავსე იყო ქვანახშირითა და ბამბით. ჯერ კიდევ მაშინ, როცა პირველად მოვედით, ვთხოვეთ რკინიგზელებს თბომავლის მეშვეობით ეს ვაგონები უსაფრთხო ადგილზე გადაეყვანათ. მათ მახლობლად მდებარეობს მაზუთით სავსე რეზერვუარი. უფრო მეტიც, მთელი ტერიტორია ამ ვაგონების ირგვლივ გაჟღენთილია მაზუთით და, რაც მთავარია — ცეცხლის უშუალო სიახლოვეს მდებარეობს ერთმანეთზე მიდგმული საცხოვრებელი სახლები.

2 აგვისტოს დილიდანვე ვერ შევძელი დავკავშირებოდი ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსს რემ ვაშაკიძეს (როგორც მისმა მდივანმა მაცნობა, იგი სელექტორულ თათბირს ესწრებოდა). რკინიგზის უფროსის პირველი მოადგილე ოლეგ ბიჭიაშვილი კი შვებულებაშია. ათი საათისათვის, როცა დავურეკე რკინიგზის სამგზავრო სამსახურის უფროსს გოდერძი მშვილდაძეს, მისგან შემდეგი პასუხი მივიღე:

— დიახ, — განაცხადა მან, — ეს ამბავი გავიგე. მაგრამ ვერაფერს კონკრეტულს ვერ გეტყვით. შემთხვევის ადგილზე არ ვყოფილვარ. და კიდევ... იწვის ვაგონი, მე კი პასუხს ვაგებ სამგზავრო ბილეთების გაყიდვისათვის. დარეკეთ რკინიგზის შეიარაღებული დაცვის სამსახურში. იქ ყველაფერს, რაც გაინტერესებთ, დაწვრილებით გეტყვიან.

გარკვეული დროის შემდეგ დავუკავშირდი სამმართველოს მთავარ ინჟინერს იგორ მელქაძეს. მან კი მომხდარი ამბის შესახებ ჩემი კითხვა თავაზიანად „გადაულოცა" რკინიგზის მოძრაობის სამსახურის უფროსს მამული კაპანაძეს. თავის მხრივ მ. კაპანაძემ, ამ ამბის შესახებ სრული ინფორმაციის მიღებისათვის მირჩია ისევ გ. მშვილდაძისათვის მიმემართა.

საბოლოოდ, თავად განსაჯეთ. რკინიგზაზე მოხდა ხანძარი, და სამმართველოს გამოკითხულ ხელმძღვანელ მუშაკთაგან ვერავინ ვერ „შეძლო" მოეცა ახსნა-განმარტება ამ ამბის გამო. მაინც, ვინ აგებს პასუხს მჭიდროდ დასახლებულ ზონაში მომხდარი ხანძრისა და ზემოთ დასახელებული რკინიგზელების ასეთი ქცევისათვის?

თენგიზ ჩხიკვაძე,
საქინფორმის კორ.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კომბინატში, ხოშარაულის ქ. № 29.
ინდექსი 64434

X1

საქართველოს რესპუბლიკა